ალია
N67 (3383) 16 ივნისი 2016 წ
ფასი 50 თეთრი
ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## „მაგთიკომი“ განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა

რა მნიშვნელოვან სიახლეებს სთავაზობს კომპანია მომხმარებელს 5




## ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, ვალერი გელაშვილის გარდა, თავდასხმის ბრძანება კახა კუკავაზე და ელიზბარ ჯაველიძეზეც გაიცა

რას იხსენებენ ჯაველიძე და კუკავა „ალიასთან“ 3



## მერაბიშვილს ყოველთვიურად 3 875, უგულავას კი 3750 ლარი ერიცხება 2




## ვვაქო და ვვადიდა ფრაუ ანგელამ, უვიზო რეჟიმის გექნებათო, მაგრამ როდის, ეგ აღარ უთქვამს... 2



## სინამდვილეში რატომ დატოვა „პატრიოტთა ალიანსი“ მანუჩარ მაჩაიძემ? 7

რა ხდებოდა პარტიაში ინაშვილი-მაჩაიძის დაპირისპირებამდე?



## საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს 4



## ომბუდსმენის აპარატში სკანდალი მწიფდება

რაში ადანაშაულებს დეპარტამენტის უფროსი უჩა ნანუაშვილს? 12








## „პოსლეზე“ ილებს ქრთამს... უნდა გამოკითხონ თედო კობახიძეც, მანანაც“ 8



## რატომ გახშირდა პოლიციელების მხრიდან ქუჩაში მოქალაქეების უმიზეზოდ ცემა

11 და რატომ არ სჯის შსს დამნაშავე პოლიციელებს?



## ინგა გრიგოლია ნიკა მელიას უპირისპირდება 13



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# გვაქო და გვადიდა ფრაუ ანგელამ, უვიზო რეჟიმიც გექნებათო, მაგრამ როდის, ეგ აღარ უთქვამს...



მიხეილ სახვაძე
599 93-28-03

ალოდინეს თუ არა, ვერ გეტყვით, გერმანელების პედანტობა კი იცით და ალბათ, მთლად მეთხუთმეტე კაცად არ შევიდოდა ჩვენი პრემიერი ფრაუ ანგელასთან შეხვედრაზე, მაგრამ რაც ჩაიტანა, იმას მაინც თუ ჩამოიტანს უკან, დრო გვიჩვენებს. ნუ, „ნაცებს“ რომ ჰკითხოთ, დაგვიანებულია კვირიკაშვილის ვიზიტი, აქამდე უნდა გამოეჩინა ფხა, მიმდგარიყო, მომდგარიყო, საქმეები გაეჩარხაო, მაგრამ ალბათ, მთლად ეგრეც არ იქნება – როცა ჩვენ მოგვესურვება, მაშინ მიგვიღოს ფრაუ ანგელამ, მასე სად არის, კაცო?



მოკლედ, გიორგი კვირიკაშვილის გერმანული ვოიაჟი ასე თუ ისე შედგა, მაგრამ საქართველოს ყველაზე მთავარი მოლოდინი – უვიზო რეჟიმის დაწესება, რაც გერმანელებს გულზე დიდად არ ეხატებათ, გამართლდება თუ არა, კაცმა არ იცის. ამ ეტაპზე სასიხარულო რაც გვამცნო პრემიერმა, ის არის, რომ სექტემბრიდან ბერლინში პირდაპირი ავიარეისები შესრულდებაო.

თუ იმას იფიქრებს ვინმე – რა თავში ვიხლით ამ პირდაპირ ავიარეისს, უვიზო მიმოსვლა თუ არ გვექნაო, ვეტყვით, რომ ვნახოთ, რა, იქნებ შეიცვალოს ფრაუ ანგელამ შეხედულება, ფრანგებმაც და იტალიელებმაც გადალახონ ორჭოფობა და გვაღირსონ პირობის შესრულება – ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო, კაცო, არ გაგიგიათ?

ისე, ფრაუ ანგელამ საქებარი სიტყვები არ დაიშურა – გვაქო და გვადიდა, ასე თქვა – ახტუნგ, ახტუნგ, უვიზო რეჟიმიც გექნებათ და თქვენ გაგიმარჯოთ ღმერთმა, ვიზალიბერალიზაციისთვის ყველა კრიტერიუმი შეასრულეთ, ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც გაგიხარდებათო.

**„საქართველომ ვიზალიბერალიზაციისთვის ყველა კრიტერიუმი შეასრულა. 2017 წელი გამოცხადდა გერმანია-საქართველოს მეგობრობის წლად. ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალყურს საქართველოში ეკონომიკურ ურთიერთობებს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის სამომავლო თანამშრომლობისთვის. პრემიერ-მინისტრი ბევრ გერმანულ ფირმას შეხვდა. გერმანიაში ალბათ საკმარისად არ იცნობენ ჯერ რამდენად დიდ წარმატებას მიაღწია საქართველომ თუკი შევხედავთ მსოფლიო რეიტინგებს, კონკურენტუნარიანობის, გამჭვირვალობის, საქართველოს შესანიშნავი წარმატებები ჰქონდა“.**

დერ ტოიფელ! 2017 წელი თუა გერმანია-საქართველოს მეგობრობის წელი, ნუთუ აქამდე გაწელავენ უვიზო რეჟიმის საკითხს და ამაზე აკეთებს მინიშნებას ფრაუ ანგელა?! არა, რას ამბობთ, 2017-ში უკვე ისე იქნება საქმე, ერთად აღვნიშნავთ ამ ამბავს, აბაა?!.. ერთი ეგ არის, საწყენი ამბავია, რომ თურმე, გერმანიაში საკმარისად არ გვიცნობენ – „ნაცების“ ჭკუის დარიგება სჭირდება „ქართულ ოცნებას“, მიდგეს-მოდგეს და გააცნოს იქაურებსაც და მათ მეზობლებსაც, როგორი მაგრები ვართ?!



მაინც, როდის მიიღებს საქართველო უვიზო რეჟიმს? სამწუხაროდ, კონკრეტული პასუხი არ გაუცია ამ კითხვაზე ფრაუ ანგელას:

**„საქართველოს ვიზალიბერალიზაციაზე გრძელ ვადაში არ იქნება საუბარი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ განხილვის პროცესი მალე დასრულდეს. მივიღეთ მხედველობაში ევროკომისიის დასკვნა, კომისია ამბობს, რომ საქართველომ შეასრულა ყველა კრიტერუმი და რა თქმა, უნდა, გერმანია არ შეეწინააღმდეგა ამ რეკომენდაციას და შეჩერების მექანიზმთან კომბინაციაში გადაწყვეტილება საქართველოს სასარგებლოდ იქნება მიღებული. საქართველომ ვიზალიბერალიზაციისთვის ყველა კრიტერიუმი შეასრულა“.**

კარგით, აბა, ფრაუ ანგელა, გრძელ ვადაში თუ არ იქნება, დაგელოდებით კიდევ ცოტას და თუ ისევ მოგვატუებს ევროპა, თქვენ ნამუსზე იყოს...

## ივანე მერაბიშვილი ხო აღიარეს „პოლიტპატიმრად“ და ახლა გიორგის ჯერიაო, „ნაცები“ ამბობენ



ვანო მერაბიშვილის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ, აქტუალური გახდა გიგი უგულავას საქმე, რომელსაც ასევე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლო განიხილავს. რა მოლოდინები აქვს და რა პროგნოზებს აკეთებს დედაქალაქის ყოფილი მერის ადვოკატი, ბექა ბასილაია?

მისი განცხადებით, ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, როდის გახდება უგულავას საქმის გადაწყვეტილება ცნობილი, ვინაიდან ამჟამადაც მიმდინარეობს მხარეებს შორის ინფორმაციებისა და საქმის მასალების გაცვლა. ბასილაია ამბობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნურად ხდება საქმის გაწელვა. მისივე თქმით, გიგი უგულავა სტრასბურგის სასამართლოს მოიგებს, ვინაიდან მის საქმეში მთელი რიგი დარღვევებია:

– გიგი უგულავას სარჩელი შეტანილი გვაქვს სასამართლოში, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება როდის იქნება, ამის თქმა ჯერ რთულია იმიტომ, რომ მხარეებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს, გარკვეული ინფორმაციებისა და მასალებს მიწოდება ევროსასამართლოსთვის, ჯერ მთავრობასაც კი არ დაუსრულებია და მთავრობა დამატებით ვადებს ითხოვს ამ კომუნიკაციის გასაგრძელებლად რაღაც თითიდან გამოწოვილი მიზეზებით იმისთვის, რომ სწრაფად არ იქნეს გადაწყვეტილება მიღებული ამ საკითხზე იმიტომ, რომ სავარაუდოდ და მაღალი ალბათობით, გიგისთან დაკავშირებითაც იქნება აუცილებლად დადგენილი დარღვევები როგორც დაკავების, ისე პატიმრობის ვადების გაგრძელების, ისე დაჩქარებული და სპეციალურად შერჩეული მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის ნაწილში, - აცხადებს ბექა ბასილაია. (პირველი რადიო)

**● ბუზისგან სპილოს გადაქცევაში კონკურსი რომ ჩატარდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ მთელ მსოფლიოში უკონკურენტო იქნებოდა, „რაც მოგივაო დავითაოს“ ამბავში კი პირველი უპირობოდ „ქართული ოცნებაა“!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# მერაბიშვილს ყოველთვიურად 3 875, უგულავას კი 3750 ლარი ერიცხება

აუდიტის სამსახურის ინფორმაციის თანახმად, „ნაციონალების“ სახელმწიფოდან შემოსავალი (საარჩევნო კამპანიის ფონდის ჩათვლით) სამ თვეში 757 544 ლარია. ამას ემატება შემოწირულობები 24 898 ლარის ოდენობით და სხვა შემოსავლები - 289,35. სხვათა შორის, შემომწირველები თავად პარტიის წევრები და ლიდერები არიან.

მაგალითად, ამ სამ თვეში უკვე არაერთხელ შეიტანეს შემოწირულობა გიორგი ბარამიძემ, ხათუნა გოგორიშვილმა, დავით ბაქრაძემ და მიხეილ მაჭავარიანმა.

ბურჯანაძის პარტიას საარჩევნო კამპანიის ფონდში რი. ალმოჩნდა, რომ მაგალითად, რეგიონალური სამსახურის ხელმძღვანელ კობა ხაბაზს 2000 ლარი ეძლევა, ნიკანორ მელიას - 2500 ლარი. გიგა ბოკერიას ხელფასი 3750 ლარი ყოფილა. ამდენივეს იღებს ზურაბ ჭიაბერაშვილიც.

როგორც გაირკვა, პარტია ხელფასს უხდის პატიმრობაში მყოფ ლიდერებსაც - მაგალითად, ვანო მერაბიშვილის ჯამაგირი გიგა ბოკერიაზე 125 ლარით მეტია, ანუ 3 875 ლარს შეადგენს, გიგი უგულავას კი ყოველთვიურად 3750 ლარი ერიცხება, გიგა ბოკერიასა და ზურაბ ჭიაბრიშვილს მსგავსად. ძალიან საინტერესოა წამყვან სპე-




თანხები ჯერ არ უფიქსირდება, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისმა დაფინანსებამ სამ თვეში 367621 ლარი შეადგინა. ჯერჯერობით არ ჰყავთ შემომწირველები და არც საწევრო შეუტანია ვინმეს. ყველაზე ხელგაშლილი შემომწირველები „პატრიოტთა ალიანსს“ ჰყავს და მათ მიერ შეგროვებულმა თანხამ 143 527 ლარი შეადგინა. თუ ამას სახელმწიფოსგან გამოყოფილ თანხასაც დავუმატებთ, 159 234 ლარის ოდენობით, გამოდის, რომ წინსაარჩევნო კამპანიის ფონდმა უკვე 302 761 ლარი შეადგინა. „ქართული ოცნების“ სამი თვის ბიუჯეტი კი სულ (საარჩევნო კამპანიის ფონდის ჩათვლით) 239 535 ლარს შეადგენს. აქედან შემოწირულობა მხოლოდ 2000 ლარია, საწევროს კი სამი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი პირი იხდიდა თვეში 20 ლარის ოდენობით. „თავისუფალ დემოკრატებს“ სამი თვის განმავლობაში ორჯერ შესწირეს 2000-2000 ლარი და ისიც ამავე პარტიის ლიდერებმა: ერთი - ზურაბ აბაშიძემ, მეორე კი - ირაკლი ჩიქოვანმა. პარტიის სახელმწიფოსგან დაფინანსებამ კი 180 338 ლარი შეადგინა. რაც შეეხება „ლეიბორისტებს“, მათ სხვა შემოსავალი არ უფიქსირდებათ, გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა - 152 505 ლარის ოდენობით.

ძალიან საინტერესოდ გამოიყურება სხვა პარტიების თანამშრომელთა და წევრთა ყოველთვიური ანაზღაურება. მაგალითად, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ სამ თვეში ხელფასებზე, ჯამში 339 794 ლარი დაუხარჯავს. პარტიაში სულ 322 ადამიანმა აიღო ჯამაგიციალისტთა სიაც. თუ მათ გვარებს გადავხედავთ, არსებობს მაღალი ალბათობა ეჭვის, რომ პარტია სწორედ ამ შტაბზე ინახავს იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა დამსახურებით კავშირში არიან მასთან. მაგალითად, რკინიგზის პრესსამსახურის ყოფილ უფროს ირმა სტეფანაძეს მოწვეული სპეციალისტის რანგში 2500 ლარი ერიცხება, ამდენივე აქვს ჯამაგირი ყოფილ გამგებელ ხათუნა ოჩიაურსაც. სტატიის თანახმად, ბურჯანაძემ პარტიის შრომის ანაზღაურებაზე სამ თვეში 235 875 ლარი დახარჯა. ცხადია, იქ მისი ხელფასი ყველაზე მაღალია - 6250 ლარი. მის შემდეგ ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს დიმიტრი ლორთქიფანიძეს - 2750 ლარის ოდენობით. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ყოფილ წევრ გიორგი ახვლედიანს კი - 2500 ლარი. ანაზღაურების გაცემის სიდიდეში დარჩენილ სხვა პარტიებს თურმე შალვა ნათელაშვილი სჯობნის. მან სამ თვეში 35 კაცზე 89 537 ლარი გასცა. თვითონ ნათელაშვილის ანაზღაურება 5812 ლარს შეადგენს. მის შვილს, ბექას 1688 ლარი ერიცხება. „ლეიბორისტების“ კიდევ ერთი სახე, გიორგი გუგავა კი პარტიიდან ყოველთვიურად 5625 ლარს იღებს.. „პატრიოტთა ალიანსს" სახელფასო ბიუჯეტი პირველ კვარტალში 34 650 ლარს შეადგენდა, რომელიც 18 ადამიანზე გადანაწილდა. ყველაზე მაღალი ხელფასი პარტიის გენერალურ მდივან ირმა ინაშვილს უფიქსირდება 2500 ლარის ოდენობით. (timenews.ge)

# ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, ვალერი გელაშვილის გარდა, თავდასხმის ბრძანება კახა კუკავაზე და ელიზბარ ჯაველიძეზეც გაიცა



## რას იხსენებენ ჯაველიძე და კუკავა „ალიასთან“

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ ვანო მერაბიშვილზე დასკვნა გამოაქვეყნა და „ნაცმოძრაობამ“ დროშებიააფრიალა, სტრასბურგმა ვანო პოლიტპატიმრად აღიარა და უმანკოა, ვითარცა კეისრის ცოლიო, ყოფილმა ძალოვანმა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა სასამართლოს სააკაშვილის და მერაბიშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. „ნაციონალური“ ჯოჯოხეთის მუგუზალმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა გუდას პირი მოხსნა. საქმე ეხება ბიზნესმენ ვალერი გელაშვილის ცემის ეპიზოდს. ყველას გვახსოვს ფაქტი, როცა ვალერი გელაშვილი 2005 წლის 29 ივნისს მისცა ინტერვიუ, რომლის გამოც ისე სცემეს, სიკვდილის პირას მიიყვანეს. გელაშვილი ინტერვიუში ამბობდა: პრეზიდენტს რომ ცოლი გაექცევა, როგორ ფიქრობთ, ის კარგი პრეზიდენტია? მთელი თბილისი მაგაზე ლაპარაკობს. როდესაც ცოლქმარს შორის კარგი ურთიერთობაა, არ არსებობს, რომ ამდენი ხნით ასე უმიზეზოდ ან მოგონილი მიზეზით დაშორდნენ. შეგახსენებთ, რომ გელაშვილს სააკაშვილმა ამ პერიოდში ჩამოართვა ავლაბრის რეზიდენციასთან მდებარე სახლი. გელაშვილი აცხადებდა, სანდრა რულოვსი შევარდა ჩემს სახლში საკუთარ ნათესავებთან ერთად, კარი შეამტვრიეს, ქვევრები დამიხსნეს და ღვინის სმა დაიწყეს. როდესაც ამბობენ, ვალერი გელაშვილმა შეურაცხყოფა მიაყენა სააკაშვილსო, რატომ არავის ახსენდება, რომ პირველმა სწორედ მან მომაყენა შეურაცხყოფა, როცა ჩემს საკუთრებაში შევარდა სანდრა რულოვსი.

**„აი, სწორედ ეს არის საინტერესო, ოთხი წლის თავზე ახლა გაახსენდა გელაშვილის ცემის ფაქტი? რატომ არ გადაიღეს ამაზე ფილმები, რატომ არ გამოიძიეს? რატომ არ წაიღეს სტრასბურგში ეს საქმე, მთელ მსოფლიოს რატომ არ გააგებინეს, რომ ჯალათები იყვნენ? უკნიდან რომ მოაწვათ ცოცხები, ახლა გაახსენდათ გელაშვილის ცემის ფაქტი?“**

მოკლედ, ასეა თუ ისე, მიხეილ სააკაშვილის დავალებით ვალერი გელაშვილს გაუერთიანა თავ-ყბა ამ ინტერვიუში ნათქვამისთვის. სწორედ ეს ბოლმა და წყენა ჩაიდო გულში მიხეილ სააკაშვილმა და ამ ყველაფერზე ფრჩხილებს უკვე ოქრუაშვილი ხსნის. სააკაშვილი მთხოვდა, რომ გელაშვილის მიმართ განმეხორციელებინა ანგარიშსწორება, ყველაფერი კი ისე უნდა მომხდარიყო, რომ მოტივი არ გამოჩენილიყო, ამ თხოვნაზე უარი განვაცხადე და შემდეგ უკვე, როცა ფაქტი მოხდა და სააკაშვილს ვესაუბრე, მასთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რომ მისი თხოვნა ვანო მერაბიშვილმა შეასრულა. მერაბიშვილი აგულიანებდა სააკაშვილს და აგულიანებდა, თუ ერთხელ ასეთი რამ პრეზიდენტს მან გაუბედა, მაშინ სხვებიც გაუბედავდნენ, არ უნდა დარჩენილიყო ყურადღების მიღმა და გარკვეული ზომები უნდა მიგვეღო. ჩავთვალე, რომ მიხეილ სააკაშვილის გადარწმუნებას აზრი არ ჰქონდა, მეორე შეხვედრა იყო, როცა მე ვცდილობდი გადარწმუნებას, ხოლო მესამე შეხვედრაზე პოსტფაქტუმ ვისაუბრეთ, ანუ ეს ყველაფერი მოხდა და ვალერი გელაშვილზე ანგარიშსწორება განხორციელდაო.

სასამართლოზე ირაკლი ოქრუაშვილს ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა ჰკითხა, რატომ არ მისცა ასეთი ჩვენება მან წინასწარი გამოძიებისას, როდესაც ორჯერ დაიკითხა, რაზეც ოქრუაშვილმა განაცხადა, „ორჯერ დავიკითხე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ გამომძიებელი დაინტერესებული არ იყო და ეს დაკითხვა იყო სპონტანური...“

ვალერი გელაშვილმა გააკეთა კომენტარი ოქრუაშვილის მიცემულ ჩვენებაზე და განაცხადა, რომ ამ ნათქვამში მისთვის ახალი არაფერია და ერთადერთი, რაზეც წუხს, არის ის, რომ გამოძიების ბოლომდე მიყვანა დროში გაიწელა.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ ზის ბრალდებულის სკამზე ირაკლი ოქრუაშვილი ვანო მერაბიშვილის გვერდით, რომელმაც შექმნა ის მონსტრი სისტემა, რომლის მძევალიც დღემდეა „ქართული ოცნება“, არადა, ყველას გვახსოვს გორელი ირაკლის ავტორობით სატელევიზიო დაჭერები და ტელევიზიით ამის ჩვენება, ოჯახებში შევარდნა და დაწიოკება, მათი ცოლებისა და დედების პენუარებში გადაღება, ეს იყო ყველაზე საშინელი პერიოდი, რასაც ძალიან ბევრი ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა, მათ შორის, იმათი სიცოცხლეც, ვინც ამ დანაშაულში მონაწილეობდა. ბონდო შალიკიანი რაც არ უნდა დამნაშავე ყოფილიყო, ირაკლი ოქრუაშვილის კისერზე მუდმივად იქნება მისი ოჯახის ცოდვა, ეს იყო ყველაზე ამაზრზენი სატელევიზიო კადრი, რაც მის ოჯახში დაატრიალა ირაკლი ოქრუაშვილმა, აღარაფერს ვამბობთ იმ გაუგებარ ანგარიშებზე, სადაც დაჭერილ ბიზნესმენებს აიძულებდნენ, ამ გაუგებარ ანგარიშებზე თანხები გადაერიცხათ. იმ პერიოდში თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბრალს სდებდნენ მაქინაციურ სქემებში და მილიონობით დოლარის გათეთრებაში, ქვეყნიდან გატანაში, თუმცა ამაზე პასუხი ირაკლი ოქრუაშვილისთვის არავის მოუთხოვია.

დამნაშავე სისტემის „არქიტექტორებზე“ ჩვენების მიცემა არ ნიშნავს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი უფრთო ანგელოზია და არ მოეთხოვოს პასუხი, როგორც იმ სისტემის ერთ-ერთ შემოქმედს. სხვათა შორის, ოქრუაშვილმა ჩვენების დროს დასძინა, რომ ასევე ბრძანება იყო გაცემული „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასა და აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ცემაზეც.

**რა თქმა უნდა, „ალია“ დაუკავშირდა მათ და აი, რას იხსენებენ ისინი ჩვენთან ინტერვიუში.**

### ელიზბარ ჯაველიძე:

**— ბატონო ელიზბარ, ირაკლი ოქრუაშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილის სამიზნე, ვალერი გელაშვილის გარდა, იყავით თქვენც. თუ გსმენიათ ამის შესახებ, ან თუ იყო მცდელობა თქვენი ცემის ან ლიკვიდაციის?**

– ჩემთვის ცნობილი იყო, რომ იგეგმებოდა ჩემი ლიკვიდაცია. ამის მიზეზი იყო ის, რომ სააკაშვილს რადიკალურად ვუპირისპირდებოდი, ვაგინებდი, ვამხელდი, შეიძლება მოსაკლავად ვერ გამიმეტა, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, მის ოჯახთან ნათესაური კავშირი მაქვს, თუმცა საცემრად რომ გამიმეტებდა, ამაში დარწმუნებული ვარ. ერთ ფაქტს მოგიყვებით, ჩემზე იყო თავდასხმის მცდელობა... როდესაც მოსკოვიდან ვბრუნდებოდი, თბილისის აეროპორტმა არ მიგვიღო და დაგვაბრუნა ქუთაისში. რამდენიმე ადამიანი ვიყავით და გადავწყვიტეთ თბილისში „ნივით“ წამოსვლა, დავიქირავეთ მანქანა, გზაში დაგვხვდნენ და ავტომატებით სროლა აგვიტეხეს. ტყეში გაგვიტაცეს და ყველაფერი წაგვართვეს. პირადად მე, 2000 დოლარამდე მედო ჯიბეში და ეს ფულიც წამართვეს. როგორც შემდგომ გავარკვიეთ, თავდასხმა იმერეთის კუდ-ის უფროსის მოადგილემ განახორციელა და მაშინვე ვთქვი, რომ ეს იყო სახელმწიფო შეკვეთა, ჩემი ეჭვი განამტკიცა იმ ფაქტმა, რომ ჩემმა სამარცხვინო ნათესავებმა, სააკაშვილის ოჯახმა შემომითვალა, მადლობელი იყავი, რომ არ გაგლახესო. მე კი შევუთვალე, თქვენი დედაც-თქო!.. შემდგომ კი ჩემამდე ხმებმა მოაღწია, როგორ ამაყობდა იმერეთის კუდ-ის მაშინდელი უფროსი და მისი მოადგილე, ნახეთ, რა ვუყავით ელიზბარ ჯაველიძესო. ამ ადამიანს ჩემს შეურაცხყოფას არ ვაპატიებდი, მაგრამ დაინვალიდდა და ეტლით გადაადგილდება. ვარ გაოგნებული, ამდენი მკვლელობა მოხდა, ახალგაზრდა, უდანაშაულო ბიჭები ქუჩაში ჩახოცეს, ეს მკვლელობები დღემდე გამოუძიებელია. ან თუნდაც გურამ შარაძის მკვლელობა გამოძიებულია? ნამდვილი მკვლელი ვინც არის, იმას არ იჭერენ, გამოიძიონ, ვინ შეუკვეთა გურამ შარაძის მკვლელობა.

### კახა კუკავა:

– დაახლოებით იყო 2004-2006 წლები, არავინ აკრიტიკებდა ისე რადიკალურად სააკაშვილს, როგორც მე და კობა დავითაშვილი. მას პირდაპირ ვუწოდებდი კრიმინალს, ვამხელდი კონკრეტული ფაქტებით, რაც სააკაშვილს ძალიან აღიზიანებდა, მახსოვს, ჩემს ფრაქციაში უთქვამთ, ეგება ტონი შეარბილო, ასეთი რადიკალური ნუ იქნებიო. მე ვამხელდი არა მარტო სააკაშვილს, არამედ ადეიშვილს და სხვებს. ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით 7 ნოემბერს და 26 მაისს. მაშინ მაგრად მომხვდა, ჩემზე შეტევა იყო შავი პიარის კუთხით, ვიდრე ინდივიდუალური ცემა და დაშინება. როგორც ჩანს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შავი პიარით უფრო მიაღწევდნენ მიზანს, ვიდრე ფიზიკური შეურაცხყოფით.

**— თქვენი აზრით, ახლა რატომ ალაპარაკდა ოქრუაშვილი ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ? უცნაურად დაემთხვა დასკვნის გამოქვეყნებას მისი სასამართლოში მისვლა...**

– აი, სწორედ ეს არის საინტერესო, ოთხი წლის თავზე ახლა გაახსენდა გელაშვილის ცემის ფაქტი? რატომ არ გადაიღეს ამაზე ფილმები, რატომ არ გამოიძიეს? რატომ არ წაიღეს სტრასბურგში ეს საქმე, მთელ მსოფლიოს რატომ არ გააგებინეს, რომ ჯალათები იყვნენ? უკნიდან რომ მოაწვათ ცოცხები, ახლა გაახსენდათ გელაშვილის ცემის ფაქტი?

სხვათა შორის მეცნობა ოქრუაშვილის ჩვენება, მეც ზუსტად ასე ცალყბად დამკითხეს 26 მაისის საკითხზე. ასე რომ, რაც ოქრუაშვილმა თქვა, სულაც არ აინტერესებდათ თავის დროზე კონკრეტული საქმის დეტალებიო, სიმართლე მგონია... აი, ამიტომ ვამბობ, რომ უნიათოები არიან, სავარაუდოდ, გიგი უგულავას საქმეზე სტრასბურგი უფრო მკაცრ გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან მისი საქმე ძალიან უხარისხოდაა გამოძიებული.

ექსკლუზიურად გეტყვით, რომ, სავარაუდოდ, გიგი უგულავასა და ვანო მერაბიშვილს გამოუშვებენ ახალ წლამდე, უფრო ზუსტად კი, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ეს არის გარიგება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის, რომ არჩევნების შემდეგ გაათავისუფლონ მერაბიშვილი და უგულავა, რითიც ევროპის წინაშე ქულებს ჩაიწერენ.

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა...

## პუტინის მეგაპროექტების სპონსორი ბანკი ფულის გარეშე დარჩა




„ვნეშეკონომბანკს“ დეფოლტი ემუქრება. ბანკი, რომელიც ერთ დროს ვლადიმერ პუტინის ყველაზე დიდ ამბიციების დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხებს გამოყოფდა, დღეს ფულის გარეშეა დარჩენილი. „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, „ვნეშეკონომბანკის“ საშუალებით პუტინმა ისეთი მეგაპროექტები განახორციელა, როგორებიც სოჭის ოლიმპიადა და უკრაინაში მოკავშირეებისათვის საიდუმლოდ დახმარების გაწევა იყო. ამჯერად რუსული ბანკი დეფოლტის ზღვარზეა და მას სამთავრობო დახმარება ჰაერივით სჭირდება. „ვნეშეკონომბანკის“ პრობლემები პუტინის სისტემისთვის მორიგი გამოწვევაა. მის კრიზისზე მნიშვნელოვანი გავლენა ნავთობის ფასის ვარდნამ და ამერიკისა და ევროკავშირის მხრიდან დაწესებულმა სანქციებმა იქონია. ბანკის ახალი მმართველობა თანამშრომლების 20 პროცენტს ამცირებს, ასევე, კერძო თვითმფრინავებითა და ლიმუზინებით სარგებლობაზე უარს ამბობს.

საკითხზე მუშაობის პროცესში „ბლუმბერგისთვის“ კრემლს კომენტარი არ გაუკეთებია. „ვნეშეკონომბანკის“ პრესსამსახურის მიხედვით კი ბანკს საინვესტიციო აქტივობა არ შეუჩერებია, თუმცა უცნობია, კონკრეტულად რა ოდენობის ინვესტიციებზეა საუბარი. თანხების მოსაძიებლად „ვნეშეკონომბანკი“ აქციებს ყიდის (მათ შორის იმ აქციებს, რომელიც სტრატეგიული და მომავალზე გათვლილი იყო). პირველი ნაბიჯი „გაზპრომის“ 3,6 პროცენტიანი წილის გაყიდვა იყო. ბუნებრივი აირის მომპოვებელ რუსულ გიგანტს აქციები ვნეშეკონომბანკმა 132 მილიარდ რუბლად, ანუ იმაზე გაცილებით ნაკლებად მიყიდა, ვიდრე რამდენიმე წლის წინ თავად გადაიხადა. ამასთან, „ვნეშეკონომბანკი“ დამატებით 18 მილიარდი რუბლის მოძიებას მოსკოვის საფონდო ბირჟის 8,4 პროცენტის გაყიდვით აპირებს. ბანკის ვალები და დანაკარგები დაახლოებით 1,5 ტრილიონ რუბლს შეადგენს. (commersant.ge)

## საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს



საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აქვს, - ამის შესახებ საუბარია „ოქსფამის" კვლევაში.

2013 წლიდან, ევროკავშირის დაფინანსებით, „ოქსფამი" ახორციელებს 4-წლიან პროექტს „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში". იმისთვის, რომ მომხდარიყო სასურსათო უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება და პროცესში ჩართული მხარეების ცნობიერების დონისა და შესაძლებლობების გამოკვლევა, „ოქსფამმა" 2014 წლის ზაფხულის პერიოდში საბაზისო კვლევა ჩაატარა, რომელმაც, მათი ინფორმაციით, მნიშვნელოვან საკითხებზე საგანგაშო შედეგები გამოავლინა როგორც საქართველოში, ასევე, სომხეთში.

საქართველოსთან მიმართებაში კვლევის ძირითადი მიგნებები შემდეგნაირია: მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 1/3 და ქალებისა და ბავშვების 33-34 პროცენტი მოიხმარს რკინით მდიდარ ხორცის პროდუქტს; მოხუცი ქალები და ასაკოვანი მოსახლეობის მხოლოდ 24-25 პროცენტს მიუწვდება ხელი ცხოველური წარმოების პროდუქციაზე, რომელიც მდიდარია ა ვიტამინით; ქალების 50 პროცენტი, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 100-1000 ლარია, მოიხმარს 4 ჯგუფის საკვებს, რეკომენდებული 10 ჯგუფის ნაცვლად, მაშინ როდესაც ოჯახის დანარჩენი წევრები მოიხმარენ 5 ან მეტი ჯგუფის საკვებს, ქალები თავს იკავებენ ხორცეულისა და ხილის მოხმარებისგან; საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტს სურსათზე მატერიალური ხელმისაწვდომობის პრობლემები აღენიშნება; მოსახლეობის 61 პროცენტს - ხორცეულისა და თევზეულის, 45 პროცენტს - ხილის და ბოსტნეულის, 20 პროცენტი კი რძის ნაწარმის დეფიციტს განიცდის; ოჯახების 14 პროცენტი სისტემატურად სესხულობს ფულს სურსათის შესაძენად; საქართველოში 10-17 წლის ასაკის მოზარდების 50 პროცენტი მოკლებულია ვიტამინებით, ცილებითა და რკინით მდიდარ სურსათს, რაც უარყოფითად აისახება მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ქმნის ცილოვანი დეფიციტით გამოწვეულ მდგომარეობას, ანემიის განვითაებისა და ზრდის შეფერხების რისკს. (bpn.ge)

**● და ამ ფონზე „ქართული ოცნება“ გვარწმუნებს, რომ ყველაფერი რიგზეა, ქვეყანა წინ მიდის, ტურისტებით სავსეა საქართველო და ასე შემდეგ. თქვე ისეთებო და ასეთებო, ტურისტები ჭამოს ხალხმა, ჰა?!**

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

ეკონომიკა... ბიზნესი... ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა... ბიზნესი...ეკონომიკა...

## საწვავი 12-15 თეთრით გაძვირდა



ბოლო ხანებში საქართველოში ნავთობპროდუქტების ფასი გაიზარდა: თითქმის ყველა დასახელების საწვავის ფასი 10-15 თეთრით არის მომატებული, რაც მოსახლეობაში აჩენს კითხვას - კიდევ ხომ არ გაძვირდება საწვავი? როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი ამბობს, ნავთობის მიმდინარე ფასებზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას:

„ბოლო პერიოდში ნავთობის ფასი იზრდება და დღეისათვის ბოლო 7-8 თვის მაქსიმალურ მაჩვენებელს გაუტოლდა. ლონდონის ბირჟაზე Brent-ის ტიპის ნავთობის ფასმა შეადგინა 50,06 დოლარი ერთ ბარელზე, ხოლო ნიუ-იორკში - Light Sweet ტიპის ნავთობის ფასმა - 48,56 დოლარი/ბარელზე. ნავთობის მიმდინარე ფასებზე შემდეგი ძირითადი ფაქტორები მოქმედებს: ბოლო პერიოდში კანადასა და ნიგერიაში ადგილი ჰქონდა ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის შემცირებას. ამავდროულად, წლის დასაწყისიდან იზრდება ნავთობის იმპორტი და მოხმარება ჩინეთსა და ინდოეთში. ნავთობის ფასის მიმდინარე ტენდენცია მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული 2 ივნისს გამართულ ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების (ოპეკი) შეხვედრაზე, სადაც ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ნავთობის მიმდინარე მოპოვების „გაყინვის" თაობაზე“.

ვანო მთვრალაშვილი არ გამორიცხავს, რომ ფასების ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს, რადგან წინ გვაქვს ზაფხულის პერიოდი, როდესაც ნავთობის მოხმარება და მასზე მოთხოვნილება ტრადიციულად იზრდება.

ანალიტიკოს ბექა კემულარიას შეფასებით, საწავავის გაძვირება მხოლოდ საერთაშორისო ფასებით არ არის განპირობებული:

„მსოფლიოში ნავთობის ფასმა მართლაც მოიმატა, მაგრამ ნავთობი მსოფლიოში ხან გაძვირდება და ხან - გაიაფდება. ეს მუდმივი პროცესია. ცვალებადია ლარის კურსიც, შესაბამისად, ამ ორ კომპონენტზეა დამოკიდებული ჩვენთან არსებული საწვავის ფასები, მაგრამ მთავარი მაინც კარტელში მონაწილე 5 კომპანიის ნებაა. ისინი მყისიერად მხოლოდ ნავთობის გაძვირებაზე რეაგირებენ, შემცირებით კი, ნაკლებად იწუხებენ თავს“. (bpn.ge)

## მაისში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილები 4,8 მილიონი ლარით შემცირდა



მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 92,9 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 203,1 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 4,9 პროცენტით (4,8 მილიონი აშშ დოლარით) ნაკლებია 2015 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89,4 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 89,9 პროცენტი მოდიოდა.

მათ შორის, 10,6 მილიონი დოლარი შემოვიდა საბერძნეთიდან, ქვეყნის წილი მთლიან მოცულობაში 11 პროცენტია. 10,2 მილიონი დოლარის ტრანსფერი განხორციელდა იტალიიდან, ხოლო ესპანეთიდან კი 2,5 მილიონის. 2,4 მილიონი დოლარით განისაზღვრა ფულადი გზავნილები გერმანიიდან. 31 მილიონი დოლარი გადმოირიცხა რუსეთიდან, ქვეყნის წილი მთლიან მოცულობაში 33 პროცენტია. 9,9 მილიონი დოლარი შეადგინა ტრანსფერებმა ამერიკიდან, თურქეთიდან კი 7,5 მილიონი.

2016 წლის მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ 15,8 მილიონი აშშ დოლარი (34,5 მილიონი ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 13,3 მილიონი აშშ დოლარისა (30,9 მილიონი ლარი) გასული წლის მაისში. (businesscontact.ge)

## 16887 მომხმარებელს რეფინანსირების განაკვეთზე მიბმულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდება



საზოგადოება და ბანკებმა ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2016 წლის 1-ელი მაისის მდგომარეობით, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 16887 სესხია გაცემული. მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. შესაბამისად, მსესხებლებს საპროცენტო განაკვეთი შეუმცირდებათ, რადგან ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით, 7,0 პროცენტამდე დაწია. მთლიანად ცვლად განაკვეთზე მიბმული 855.4 მილიონი ლარის სესხია გაცემული.

ბოლო 1 თვის განმავლობაში გაცემული სესხების რაოდენობა 87-ით შემცირდა, ასევე, შემცირებულია მთლიანი პორტფელი - 893.0 მილიონი ლარიდან 855.4 მილიონამდე. (bpn.ge)



## ლარი მცირედით გამყარდა




ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1322 ლარი გახდება. კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,1324 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,002 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,3925 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,3934 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0009 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

# „მაგთიკომი" განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა

MAGTICOM

## რა მნიშვნელოვან სიახლეებს სთავაზობს კომპანია მომხმარებელს




„მაგთიკომმა" მომხმარებლებს 4.5 თაობის, უახლესი ვერსიის ქსელი შესთავაზა. „მაგთიკომი" საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის პირველია, რომელიც 4.5G (LTE-Advanced) ქსელით იწყებს ოპერირებას.

აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით „მაგთი კლუბში" ღონისძიება გამართა, რომელსაც მედიისა და „მაგთიკომის" წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საღამოს განმავლობაში წამახალისებელი გათამაშება გაიმართა და რამდენიმე გამარჯვებულიც გამოვლინდა. „მაგთიკომმა" გამარჯვებულები ინტერნეტმოდემით, ოქროს ნომრითა და „აიფონ 6"-ით დააჯილდოვა.



ბოლო დროს კომპანიაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები „მაგთიკომის" მიერ „კავკასუს ონლაინის" საოპერაციო აქტივების შეძენასა და 4.5 ქსელის გაშვებას მოიცავს.

„მაგთიკომსა" და „კავკასუს ონლაინს" შორის საოპერაციო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 30 მაისს მოეწერა ხელი. „კავკასუს ონლაინის" კორპორაციული და საცალო მომსახურებისთვის საჭირო საოპერაციო აქტივების „მაგთიკომისთვის" გადაცემის პროცესი, სავარაუდოდ, 2016 წლის 1-ელ აგვისტოს დაიწყება, რამდენიმე თვე გაგრძელდება და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. ინტეგრაციის პროცესში მომხმარებლებს მომსახურება შეუფერხებლად, უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ.

2016 წლის 3 ივნისს კი „მაგთიკომმა" პირველად საქართველოში მომხმარებლებს მსოფლიოში უახლესი ვერსიის – 4.5 ქსელი შესთავაზა.

**ირაკლი ლოხჟანიძე, „მაგთიკომის" მარკეტინგის დირექტორი:**

– დღეს ორი სიახლე გვაქვს – პირველი ის, რომ „კავკასუს ონლაინის" აქტივების შეძენას ხელი მოეწერა და აგვისტოდან „კავკასუსის" ინფრასტრუქტურა, აბონენტები და ის აქტივები, რომლებიც მათი ქსელის საცალო და კორპორაციულ გაყიდვებთანაა დაკავშირებული, „მაგთიკომში" გადმოვა. გარდა ამისა, „მაგთიკომმა" 3 ივნისს 4.5 თაობის ქსელი გაუშვა, რომელიც დღესდღეობით მობილურ კავშირგაბმულობაში ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიაა. ამაზე ახალი ტექნოლოგია კომერციულად ჯერ არსად არ არის გაშვებული.

**— რას ნიშნავს ეს სიახლე და რა შეიცვლება მომხმარებლისთვის?**

– პირველ რიგში, 4.5 თაობის ქსელი, ეს არის უფრო სწრაფი ინტერნეტი. გარდა ამისა, უფრო ვრცელი დაფარვის ზონა. სიგნალი აღწევს ისეთ ადგილებში, როგორიცაა რკინაბეტონის ნაგებობები, სარდაფები და ძნელად შესაღწევი ტერიტორიები, სადაც აქამდე სიგნალის მიღება ან რთული იყო, ან მიღება საერთოდ ვერ ხდებოდა. LTE-Advanced-ის საშუალებით ეს უკვე შესაძლებელია, თუმცა, რა თქმა უნდა, მომხმარებელს შესაბამისი ტელეფონი უნდა ჰქონდეს, რომელსაც LTE 800 მეგაჰერციან სიხშირეზე მხარდაჭერა აქვს.

რაც შეეხება გვირაბებს, ეს მარტივად და ერთ დღეში მოსაგვარებელი პრობლემა არაა, თუმცა ამის პროექტიც არსებობს.

**„მაგთიკომი" საქართველოში ერთადერთი ოპერატორია, რომელსაც მომხმარებლისთვის სრული საკომუნიკაციო მომსახურების შეთავაზება შეუძლია:**

2 ტიპის ინტერნეტი – მობილური და საკაბელო;

2 ტიპის ტელევიზია – თანამგზავრული და IPTV;

2 ტიპის ფიქსირებული ტელეფონი – რადიო და საკაბელო;

მობილური ტელეფონი, რომელიც მობილური სატელეკომუნიკაციო სამყაროს განვითარების ყველა საფეხურს მოიცავს – 2G 3G 4G და ახლა უკვე მსოფლიოში უახლესი ტექნოლოგია, 4.5G ქსელი დაემატა.

დღეისთვის „მაგთიკომი" ქართულ ბაზარზე ერთადერთი ოპერატორია, რომელიც ორი სიხშირული სპექტრის (LTE 800 და LTE 1800) კომბინაციით, მომხმარებელს 4.5G (LTE-Advanced) ქსელს და უმაღლესი ხარისხის მომსახურებას მკვეთრად გაზრდილი ინტერნეტსიჩქარით სთავაზობს.

წლების განმავლობაში „მაგთიკომს" ინტერნეტმოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს. ეს იმის დასტურია, რომ მობილური ინტერნეტის მომხმარებელი ყველაზე ხშირად „მაგთიკომის" ქსელით სარგებლობს. ამიერიდან კი, „მაგთიკომის" მომხმარებელი უსწრაფესი მობილური ინტერნეტით ისარგებლებს, ტექნოლოგიურად კიდევ უფრო წინწაწეული, ვრცელი და მაღალი სიხშირით დაფარული LTE-Advanced ქსელის საშუალებით.

„მაგთიკომი" ქართულ ბაზარზე, ტრადიციულად, ინოვაციური უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, საბაზო სადგურების რაოდენობით ლიდერობს, რაც დაფარვის ვრცელ და ინტენსიურ არეალს, სტაბილურად მაღალ ხარისხსა და საიმედო ქსელს განაპირობებს.



**დარინა ქამადაძე**

## იური ლუცენკო საქართველოს საშინაო საქმეებში ერევაო



საქართველოს საგარეო უწყება უკრაინის გენერალური პროკურორის განცხადებებით, რომელიც მან ვანო მერეაბიშვილის საქმეზე გააკეთა, უკმაყოფილოა და მიაჩნია, რომ იური ლუცენკოს განცხადებები საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაა.

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებით რწმუნებულ გიორგი ნაზაროვთან შეხვედრისას ისაუბრა, სადაც ქართული მხარის მიერ აღინიშნა, რომ უკრაინის გენერალური პროკურორის შეფასებები ივანე მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით ევროსასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე არ შეესაბამება თავად ამ გადაწყვეტილების შინაარსს. საგარეო საქმეთა სამინისტროში მიმიჩნევენ, რომ ეს შესაძლოა, გამოიწვია გენერალური პროკურორის არაინფორმირებულობამ, შედეგად კი მის მიერ მოხდა საქმის არასწორი შეფასება, რაც ჩრდილს აყენებს ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებს.

ქართულმა მხარემ გამოთქვა მოლოდინი, რომ უკრაინული მხარე მოახდენს შესაბამის რეაგირებას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით და მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება. თავის მხრივ, ნაზაროვმა განაცხადა, რომ უკვე მიღებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და საქართველოს პოზიციას კიევს დაუყოვნებლივ აცნობებს. (პირველი რადიო)

● **ისე, ყველამ თავის არეულს მიხედოს და ერთი ადგილის თამაშს თავი დაანებოს, ვერა? თავად უკრაინაში ვერ დაულაგებიათ სიტუაცია და აქეთ გვიქნევენ თითებს. თუმცა სადაც სააკაშვილი შეიკედლეს და ამხელა თანამდებობა ჩაახუტეს, ასეთი ვირიშვილობები რაღა გასაკვირია?!**

## ასეთ რამეებში ვბაძავდეთ ევროპას, არ შეიძლება?!



მსოფლიოში ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება ტროპიკული ტყეების განადგურებასთან პირდაპირ კავშირშია. ყველაზე მნიშვნელოვნად ზარალდება არგენტინის, ბოლივიის, ბრაზილიის, პარაგვაის, ინდონეზიისა და პაპუა-ახალი გვინეას ტყეები.

ნორვეგიის ხელისუფლება აღარ შეისყიდის საქონელს, რომელიც ხეების მოჭრასთან არის დაკავშირებული და არც ერთ კომპანიასთან, რომელიც ტროპიკულ ტყეებს ანადგურებს, სახელმწიფო კონტრაქტებს აღარ გააფორმებს.

ნორვეგია მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდება, რომელიც უარს აცხადებს საქონელზე, რომელთა წარმოებისათვისაც ტყეები ნადგურდება.

ნორვეგიის ფონდმა სხვა ქვეყნებსაც მოუწოდა იგივე გააკეთონ, კერძოდ, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. (news.ge)

● **და ჩვენთან რა ხდება ამ დროს? ოღონდ ტერიტორია დააცარიელონ და მახინჯი შენობა ააშენონ, მზად არიან, რასაც ფოთოლი აბია, ყველაფერი ძირში მოჭრან.**

**აი, ასეთ რამეებში მივბაძოთ ევროპას, ასეთი ნაბიჯები გადავდგათ, თუნდაც ცოტათი მიახლოებული მაინც, არ შეიძლება, ამის დედა ვატირე?!**

## მანანა კობახიძე მერაბიშვილის შეწყალებაზე - „პრეზიდენტის გადასაწყვეტია, რამდენად მიზანშეწონილად ჩათვლის ამას“




საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე ვანო მერაბიშვილის შესაძლო შეწყალების საკითხს ეხმაურება. კობახიძის განცხადებით, მისი შეწყალება პრეზიდენტის პრეროგატივაა, რომელიც მას საქართველოს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, თუმცა კობახიძე მიიჩნევს, რომ მერაბიშვილმა სასჯელი ბოლომდე უნდა მოიხადოს.

– შეწყალების თემა ცალკე საკითხია. ეს პრეზიდენტის პრეროგატივაა, მისი დისკრეციული უფლებამოსილება, რომელიც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. როგორც ვიცი, მათ განმარტებაც კი გააკეთეს, რომ ამ თემაზე მსჯელობა არ ყოფილა და პრეზიდენტი ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად არ იღებს, რადგან ის ეფუძნება შეწყალების კომისიის დასკვნებს. მან უნდა გადაწყვიტოს, რამდენად მიზანშეწონილად ჩათვლის ამ თუ სხვა პატიმრის გათავისუფლებას. ეს მისი გადასაწყვეტია და მე ვერ შევალ მის შეფასებებში. მე ვთვლი, რომ ამ ადმაიანმა სასჯელი ბოლომდე უნდ ამოიხადოს, - აცხადებს მანანა კობახიძე. (ნიუპოსტი)

## ირინა სარიშვილი: გავიდნენ ესენი უკვე მომსახურეობის ზონიდან



პარტია „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– ივანიშვილმა — ოპოზიციას არ დაემორჩილოთ ჩემო ბრძენო ხალხოო...

თეა წულუკიანმა — სტრასბურგის სასამართლო მარტო ვანო მერაბიშვილის მონაყოლს დაეყრდნოო...

ანუ რა გამოდის:

მთავრობა დაუმორჩილებლობას უცხადებს ოპოზიციას;

ოპოზიცია ამჯერად უკვე სტრასბურგსაც მართავს...

ეხლა ამ ბუკეტს ზაქარეიშვილის განცხადება აკლია, სტრასბურგმა კი არ გაამართლა მერაბიშვილი, ხაზი გაავლოო და ეგაა, რა...

გავიდნენ ესენი უკვე მომსახურეობის ზონიდან... (news.ge)

## სამადაშვილი: ხელისუფლება ბერლინიდან ხელცარიელი მოდის



„ნაციონალურ მოძრაობაში" მიაჩნიათ, რომ ბერლინში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი უშედეგო იყო. სალომე სამადაშვილის განცხადებით, მსგავსი ვიზიტი საქართველოს ხელისუფლებას რამდენიმე თვის წინ უნდა განეხორციელებინა.

– რეალურად, მე ვფიქრობ, რომ ეს იყო უშედეგო ვიზიტი, მსგავსი ვიზიტი უნდა განხორციელებულიყო ძალიან დიდი ხნის წინ, რამდენიმე თვის წინ და რეალური შედეგი იქნებოდა ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას მიეღწია იმისთვის, რომ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის საკითხი გამიჯნულიყო სწორედ იმ საერთო საკითხისგან, რაც უკავშირდება უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმს, რადგან როგორც ქალბატონმა მერკელმაც დაადასტურა, საქართველო არ წარმოადგენს პრობლემატურ ქვეყანას მიგრაციის თვალსაზრისით, მაგრამ ამ პოზიციის ლობირება ვერ მოახდინა ვერც დროულად საქართველოს ხელისუფლებამ და დღესაც ფაქტიურად ხელცარიელი მოდიან უკან ბერლინიდან, - განაცხდა სამადაშვილმა. (news.ge)

## ანა ნაცვლიშვილი: ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო მერაბიშვილს აღიარებს პოლიტიკურ პატიმრად



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილის თქმით, ის, რომ ექსპრემიერ ვანო მერაბიშვილის საქმეში სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა, არ ნიშნავს, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმარია.

– სასამართლომ რაც თქვა ამ საქმესთან დაკავშირებით, იყო ის, რომ დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა და ადგილი ჰქონდა პიროვნებაზე მორალურ ზეწოლას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პირს აღიარებს პოლიტიკურ პატიმრად, ან მიანიშნებს, რომ ამ საკითხში პოლიტიკური კონტექქტსი უნდა დავინახოთ. მე-18 მუხლის დარღვევა არის ნაპოვნი იმ საქმეებში, სადაც აპლიკანტი სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან შეფასდა პოლიტიკურ პატიმრად, მაგრამ არის ასევე, საქმეები, სადაც ეს მუხლი დარღვეულად იქნა ცნობილი, მაგრამ პოლიტიკურ კონტექსტზე იქ საუბარი არ არის და ამიტომ მე-18 მუხლის დარღვევა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პირს განიხილავს როგორც პოლიტიკურ პატიმარს, - განაცხადა ნაცვლიშვილმა.

საიას თავმჯდომარის თქმით, ბათუმის ყოფილი მერის თენგიზ ასანიძის საქმისგან განსხვავებით, მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს პატიმრის გათავისუფლება არ მოუთხოვია. ნაცვლიშვილის აზრით, ასეთი სურვილის შემთხვევაში სასამართლო აუცილებლად გააკეთებდა შესაბამის ჩანაწერს.

– აჭარის შემთხვევაში ეს იყო ასანიძის შემთხვევა. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ პირი უნდა გათავისუფლებულიყო. ამას სასამართლო ძალიან იშვიათად აკეთებს. ვფიქრობ, სასამართლოს რომ დაენახა ანალოგიური სიმძაფრე, მას უკვე ჰქონდა პრეცედენტი და არ მოერიდებოდა ასანიძის მსგავსი პირდაპირი ჩანაწერის გაკეთების, - აცხადებს ანა ნაცვლიშვილი. (news.ge)

## დემურ გიორხელიძე: ვინც მერაბიშვილი კამერიდან გამოიყვანა ზეწოლის მოსახდენად, ერთი ადგილითაა დასაკიდებელი!



– ზერელე და პროფანული საუბრები „მოდაშია“ საქართველოში, - წერს ექსპერტი დემურ გიორხელიძე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ვანო მერაბიშვილის საქმეს ეხება.

– დილეტანტიზმის, როგორც საოჯახო ძვირფასეულობის, გამოფენა ტრენდია [ტენდენციაა!]. სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების და პოლიტიკოსების ნათქვამები არ არის მტკიცებულება [იმისთვის რომ მომჩივანის დაკავება პოლიტიკური მოტივებით დასაბუთდეს...] ეეე, პროვინცია! ეეე, ქაჯობა! [წინწახტუნებულებო!] ეეე, ვითომ „დასავლელებო“, არადა მხოლოდ მარიონეტებო! ეეე, დილეტანტებო [საუკეთესო შემთხვევაში!} და სულით პროფანებო! ქვეყნის, კულტურის და ხალხის მომავლისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი პოლიტიკოსების ნათქვამები არაფერს ნიშნავს - მთავარია, სამართალი და კანონიერება, მთავარია, შინაგან განვითარებაზე, პროგრესზე ორიენტაცია! რა არის პროგრესი?! პროგრესი - დღევანდელობისადმი დამოკიდებულებაა!.. ამიტომ მერაბიშვილი არ არის აღიარებული პოლიტპატიმრად სტრასბურგის სასამართლოს მიერ! აი, ის ტიპი, ვინც მერაბიშვილი კამერიდან გამოიყვანა ზეწოლის მოსახდენად, პროვოკაციას რომ სჩადიოდა, წინასწარ იცოდა და ერთი ადგილითაა დასაკიდებელი! სულ ესაა! - წერს ანალისტიკოსი. (რეპორტიორი)

## „ეს იქნება პირდაპირი მინიშნება, რომ პოლიციის მონაწილეობით ვატარებთ არჩევნებს“ - ანი მიროტაძე

„ეროვნული ფორუმის" განცხადებით, არჩევანის გაკეთების ადგილას სამართალდამცავები არ უნდა იმყოფებოდნენ. პარტია კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცვლილებებს, რომელიც პოლიციელებს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშე ყოფნის უფლებას ანიჭებს.

– ეს აუცილებლად ზეგავლენას მოახდენს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ ადამიანებს პოლიციელის გამოჩენის საკმაოდ ეშინიათ. თუ მანამდე პოლიცია დაფარულად ატარებდა არჩევნებს, ახლა ეს იქნება პირდაპირი მინიშნება იმის, რომ პოლიციის მონაწილეობით ვატარებთ არჩევნებს, - აღნიშნა მიროტაძემ. (ნიუპოსტი)

# სინამდვილეში რატომ დატოვა „პატრიოტთა ალიანსი“ მანუჩარ მაჩაიძემ?



## რა ხდებოდა პარტიაში ინაშვილი-მაჩაიძის დაპირისპირებამდე?



ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



გუშინ პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ პარტიის და ამავდროულად, თბილისის საკრებულოს წევრმა მანუჩარ მაჩაიძემ დატოვა, ამის მიზეზად კი პარტიის ხელმძღვანელობასთან საარჩევნო სიებთან დაკავშირებული უთანხმოება დაასახელა: „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო სიაში „რუსთავი 2“-ის ტელეწამყვანის დიანა ჯოჯუას მეუღლის ნიკოლოზ რამიშვილის ყოფნა ჩემთვის მიუღებელია. მის კანდიდატურას პარტიის პოლიტსაბჭომ მხარი დაუჭირა, რასაც მე არ დავეთანხმე. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ დატოვების მიზეზი სწორედ ეს გახდა“. მისივე თქმით, რამიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ და ვანო მერაბიშვილის მეგობარია“.

მაჩაიძის განცხადებას პარტიის ლიდერი ირმა ინაშვილი საკუთარ „ფეისბუკის“ გვერდზე გამოეხმაურა: „ვწუხვარ, რომ ამ თემაზე მიწევს საუბარი. ბატონი მანუჩარ მაჩაიძის განცხადება, უბრალოდ, უზნეობაა. მანუჩარ მაჩაიძემ ჩვენი პარტია დატოვა მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვუთხარით საპარლამენტო სიის ხუთეულზე. მოგეხსენებათ, ბატონი მანუჩარი თბილისის საკრებულოს წევრია. მას საკრებულოში კიდევ 1 წლის სამუშაო აქვს და ჩვენ ჩავთვალეთ, რომ საპარლამენტო სიაში ის ამჯერად არც მეხუთე ნომერი უნდა ყოფილიყო და საერთოდაც არ უნდა მიეღო მონაწილეობა ამ არჩევნებში, ანუ უნდა დარჩენილიყო საკრებულოში. მანუჩარ მაჩაიძე გაბრაზდა და პარტია დატოვა... ნიკა რამიშვილი არც ვანო მერაბიშვილის მეგობარია და არც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი. არც არასდროს ყოფილა და სიაშიც, შესაბამისად, არაა... ნიკა რამიშვილი არის ჩემი უახლოესი მეგობრის შვილი, არის ჩემი მეგობარი და მე მას მანამდე ვიცნობდი, სანამ საერთოდ პარტიის გენმდივანი გავხდებოდი და ვიდრე ნიკა რამიშვილი საერთოდ დიანა ჯოჯუას გაიცნობდა“.

**დეტალების გასარკვევად „ალია“ ორივე მხარეს დაუკავშირდა:**

### მანუჩარ მაჩაიძე:

– მე არასწორად მიმაჩნია, რომ რამიშვილისნაირი პიროვნება, ასეთ რამეს რომ გააკეთებს, მაგრამ მე საკრებულოში არ შევსულვარ ირმა ინაშვილისა და თარხან-მოურავის ხათრით, ხალხმა მე მომცა ხმა და ჩემი ხმა მაგათ მიეწერათ, თორემ მაგათ ქართველი ხალხი არც იცნობდა და ახლაც წესიერად არ იციან, ვინ არიან ეგენი, კაცო. მე კიდევ მთელი საქართველო და მსოფლიო მიცნობს და რატომ აქვთ ასეთი ამბიციები, ვერ გავიგე? კი, ბატონო, გასაბრაზებელი და ცოტა საწყენია, კაცმა ასეთი რამე თქვას, მაგრამ მე ვერ ვიტან ისეთ რაღაცებს, როცა წინა რეჟიმის ხალხი რაღაცნაირად მოჰყავთ პოლიტიკაში. ასეთი დანდობებით, წაყრუებით, სხვადასხვა მეთოდებით ასეთი ხალხი, როგორიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყო, შედის პარლამენტში, იკავებს თანამდებობებს, გვტანჯავს და ქართველი ერი უბედურ დღეში ჰყავს. იმ ცხრა წლის ყოველი წელი, რომელიც ჩვენ გავიარეთ, იყო კომუნისტური რეჟიმის 37 წელი. რა, ტყუილს ვამბობ? კი, მესმის ხათრი, კომპრომისი, მაგრამ ასე მოდის ეს ხალხი პოლიტიკაში.

**— ინაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რამიშვილი არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, არც არასდროს ყოფილა და არც მერაბიშვილის მეგობარი არ არისო.**

– კარგით, დავუშვათ, არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ქალბატონი ჯოჯუას მეუღლე, რომელიც ცხრა თუ ათი წელია, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტია, ხომ არის? და შეიძლება, რომ მისი მეუღლე ნიკა რამიშვილი სხვანაირად მოაზროვნე იყოს? შეუძლებელია, რა. და თუ აზრზე არ არიან, რა ხდება და როგორ ხდება რომელსაც, სხვათა შორის, არ ვიცნობ და არ ვიცი, როგორი ადამიანია – „პატრიოტთა ალიანსში“ არ უნდა იყოს. როდესაც პოლიტსაბჭოზე ეს საკითხი წყდებოდა, მართალია, ახლა ესენი უარყოფენ, არა, რა ხუთეული, რის ათეული, სია საერთოდ არ არსებობსო, მაგრამ არსებობდა, ბატონო, ამაზე გვქონდა მსჯელობა. რა, აბა, დამესიზმრა ამ კაცის სახელი და გვარი? ეს არის სიმართლე და ამიტომაც გამოვედი პარტიიდან. რა არის, ვერ გავიგე, ვინმეს ვლანძღავ? მართალია, პარტიისთვის არ არის სასიამოვნო, მისი დეპუტატი და მაგასთან კავშირი არ აქვთ, მაშინ რატომ არის, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ რეკლამა „რუსთავი 2“-ზე უკვე ორი თვეა, გადის?

**— „პატრიოტთა ალიანსის“ მხრიდან ამაზე არგუმენტი, ალბათ, ის იქნება, რომ წინასაარჩევნოდ ისინი ნებისმიერ ეთერს იყენებენ.**

– სხვა არც ერთი პარტიის რეკლამა არ გადის არსად, მარტო „პატრიოტთა ალიანსი“ გადის „რუსთავი 2“-ზე, ესეც მე მოვიგონე?

**— ინაშვილი თავის განცხადებაში წერს, მანუჩარ მაჩაიძე იმაზე გაბრაზდა, რომ უარი ვუთხარით საპარლამენტო სიის ხუთეულზეო.**

– როგორ გეკადრებათ? ჯერ ერთი, მე ვიყავი მაგ პარტიის დამფუძნებელი, ირმა ინაშვილი მაშინ არ იყო მისი წევრი, როცა სოსო მანჯავიძე გავიდა, ირმა მაშინ შემოვიდა. მე, მოგეხსენებათ, პარლამენტის წევრიც ვიყავი, საკრებულოს წევრიც და ჩემთვის ეს სიახლე არ არის და ამით მე არც რეგალიები მომემატება და არაფერი. მე იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რომ პარლამენტში არ უნდა ხვდებოდნენ შემთხვევითი ადამიანები, ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ქართველი ერის წინააღმდეგ, კაცო და საიდან იღებს ის ხალხი ამ ინსტრუქციებს არ ვიცი.

**— მანუჩარ მაჩაიძეს საკრებულოში კიდევ 1 წლის სამუშაო აქვს და ჩვენ ჩავთვალეთ, რომ საერთოდაც არ უნდა მიეღო მონაწილეობა ამ არჩევნებშიო, ინაშვილი ამბობს.**

– მაგათ რა უფლება აქვთ, მე შემიყვანონ ან არ შემიყვანონ სიაში? კარგით, რა! არ მინდა, ბატონო. მე მაგის გამო არ გამომიცხადებია პროტესტი. მე ვუთხარი, – კარგი, დავუშვათ, გამოქვეყნდა სია და იქ რამიშვილი იქნება ჩაწერილი, ხომ გაშიფრავს ამ სიას ნებისმიერი მცოდნე? ხომ გამოჩნდება მერე ყველაფერი და არ არის ეს საჭირო-მეთქი. არაო, ეგ უნდა გავიდესო. მაგათ ეგონათ, რომ ეს ასე ჩაივლიდა. როდესაც პარტიის წევრი ტოვებს პარტიას, თუ ის საკრებულოში წარმომადგენელია, ეს უნდა განუცხადოს საკრებულოს ხელმძღვანელობას და ქართველი საზოგადოება საქმის კურსში უნდა ჩააყენოს, ამას კანონი მოითხოვს. ასე გავაკეთე მეც და არც მეგონა, თუ ასეთი ამბები ატყდებოდა, მაგრამ ეს ამბავი რომ მედიასაშუალებებით გავრცელდა, ირმა ინაშვილი, რომელსაც მე ყოველთვის პატივს ვცემდი, ეტყობა, გაბრაზდა და არასწორი ინფორმაციის მიწოდება დაიწყო.

**— გასაგებია... საკრებულოს დატოვებასაც ხომ არ აპირებთ?**

– არა, რადგან მე მანდ სრულიად დამსახურებულად მოვხვდი, ის ხმები, რომელიც ადგილობრივ არჩევნებში ავიღეთ, ბევრი ჩემი დამსახურებით იყო, მაშინ თარხან-მოურავს და ირმა ინაშვილს ხალხი არ იცნობდა და რატომ უნდა დავტოვო? მით უმეტეს, რომ კანონი მაძლევს იმის უფლებას, რომ პარტიის დატოვების მიუხედავად, კვლავ გავაგრძელო მუშაობა დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით, რასაც ვაპირებ კიდეც.

**— სხვა პარტიაში ხომ არ აპირებთ გაწევრიანებას? რაიმე მოლაპარაკებები თუ გაქვთ რომელიმე პარტიასთან?**

– ჯერჯერობით, მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს და არ ვიცი, ვნახოთ.

### ირმა ინაშვილი:

– საარჩევნო სიის ფორმირებაზე ახლა, თითქმის, ყველა პარტია მუშაობს, მაგრამ ჩვენ ამ სიაზე მუშაობა დამთავრებული, ჯერჯერობით, არ გვაქვს, რადგან კანდიდატურებს განვიხილავთ. გვინდა, ამ სიაში იყოს ყველა ის ადამიანი, ვინც ათი წლის მანძილზე ჩვენთან ერთად იბრძოდა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ვისაც დამსახურება აქვს და ვინც საზოგადოების მხარდაჭერასა და პატივისცემას იმსახურებს. სიის ხუთეულზე, ათეულზე საუბარი ჯერ ნაადრევად მიმაჩნია, ჯერ კიდევ აქვთ დრო პარტიებს, რომ ეს ათეულები თუ ოცეულები მედიასა და საზოგადოებას წარუდგინონ. ძალიან ვწუხვარ, რომ მანუჩარ მაჩაიძის განცხადებებთან დაკავშირებით მიწევს კომენტარის გაკეთება, რადგან ძალიან ვაფასებ ბატონ მანუჩარს, მაგრამ საკრებულოში „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი რომ იყო, საზოგადოებამ ეს დღეს გაიგო. არადა, თითქმის, წელიწადზე მეტია, იგი თბილისის საკრებულოში „პატრიოტთა ალიანსს“ წარმოადგენს. ჩვენმა გუნდმა ჩათვალა, რომ მას გაეგრძელებინა ეს საქმიანობა ისევ თბილისის საკრებულოში, რადგან ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და წელიწადზე მეტია კიდევ დარჩენილი, ეს პასუხისმგებლობა პირნათლად შეასრულოს, რაც ამომრჩეველმა მას მიანდო. როდესაც კანდიდატურებს ვიხილავდით და სიებზე იყო საუბარი, აქ ბატონ მანუჩარს ის კი არ გაუპროტესტებია, ჩემი მეგობარი ვინ არის – მისი მთავარი პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ მას სურდა როგორც საკრებულოს წევრობა, ასევე, სურდა, საარჩევნო სიის ხუთეულში მეხუთე ნომერი ყოფილიყო და გულახდილად გეტყვით: უსამართლოდ მიმაჩნდა და ახლაც ასე მიმაჩნია ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რადგან პარტიაში ბევრი სხვა დამსახურებული სახეც არის, ახალი სახეც და თუ „პატრიოტთა ალიანსიდან“ მარტო ბატონი მანუჩარი იქნება საკრებულოს წევრიც, პარლამენტის წევრიც, მინისტრადაც ის დაინიშნება, ეს ხომ უსამართლო დამოკიდებულებაა პარტიის მხრიდან მისი გუნდის სხვა წევრების მიმართ? ამიტომ მას პოლიტსაბჭომ საარჩევნო სიის მეხუთე ნომრობაზე უარი უთხრა და მისი გაბრაზების რეალური მიზეზი ესაა და არა ნიკა რამიშვილი.

**— გარდა იმისა, რომ თქვენ და მანუჩარ მაჩაიძეს მეგობრობა გაკავშირებთ, სახელმწიფო აუდიტის ინფორმაციით, მიმდინარე წლის აპრილში „პატრიოტთა ალიანსს“ მაჩაიძემ 60 ათასი ლარი შესწირა, ანუ ერთი შეხედვით, მას საკმაო დამსახურება აქვს და ბოლოს და ბოლოს, რა პრობლემა იქნებოდა მისი სიაში ჩასმა?**

– იცით, რაშია საქმე? შემოწირულობა, არის ერთი თემა. პარტიისთვის შემოწირულობა პარტიის გუნდიდან არაერთ სხვა წევრსაც გაუღია. მე ამას ვაფასებ და მადლობას ვეუბნები ჩვენი პარტიის გუნდის იმ წევრებს, რომლებმაც ჩვენი პარტიისთვის შემოწირულობა გაიღეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი კრიტერიუმი იმისთვის, რომ მაინცდამაინც მეხუთე ნომერი გახდე პარტიაში. მასთან ჩვენ მართლები ვართ, რადგან ის ჩვენ წარმოგვადგენდა აქამდე საკრებულოში და მე მგონი, ის არ აფასებს იმას, რაც აქვს. ბატონი მანუჩარი საკრებულოს წევრიც იყოს, პარლამენტის საარჩევნო სიაშიც მეხუთე ნომერიც იყოს, მაშინ სხვა ადამიანებს სტიმული ეკარგებათ, ხომ? ყველაფერი ერთ კაცს და სხვას – არაფერი? ჩვენ ჩვენი გეგმა, გეზი, სტრატეგია გვაქვს უკვე შემუშავებული. ჩვენ მანუჩარ მაჩაიძის ფუნქციას ამ ეტაპზე ვხედავთ თბილისის საკრებულოში.

8 ოქტომბრით არ მთავრდება მართლა ცხოვრება და სახეს ნუ დავკარგავთ, ესაა მთავარი და არა ნუმერაცია, ვინ რა ნომერი იქნება საარჩევნო სიაში. მეტსაც გეტყვით: პოლიტსაბჭოს ვთავაზობ, რომ ამ სიაში 25-ე ვიყო, იგივე სურვილი აქვს ჩვენი პარტიის თავმჯდომარეს, დავით თარხან-მოურავსაც და უხერხულია, რა, ამ ნუმერაციებზე გუნდიდან წასული ადამიანების მხრიდან საუბარი.

## ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა დაკავებული მამა-შვილი გაათავისუფლა



ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმა ოთხდღიანი პატიმრობის შემდეგ, გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში დაკავებული მამა-შვილი გაათავისუფლა. როინ და გიორგი ზაუტაშვილები ჯარიმის გადახდის შემდეგ გამოუშვეს.

ისინი ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით რუსმა სამხედროებმა დააკავეს, თუმცა როინ ზაუტაშვილის თქმით, საქონელს სოფლის კუთვნილ ტერიტორიაზე მწყემსავდნენ და ე.წ. საზღვარი არ გადაუკვეთიათ. (პირველი რადიო)

## „პოსლეზე“ იღებს ქრთამს... უნდა გამოკითხონ თედო კობახიძეც, მანანაც“



რატომ არ ხდება პროკურატურის მხრიდან სწრაფი რეაგირება საკრებულოს დეპუტატ თედო კობახიძის ბრალდებებთან დაკავშირებით? ამ საკითხზე ბადრი ჯავახიშვილის ადვოკატი კობა კობახიძე საუბრობს და ამბობს, რომ სავარაუდოდ საგამოძიებო უწყება ამ დროისათვის ყველა იმ მასალას სწავლობს, რომელიც მათ მიაწოდეს და ისინიც გამოძიების მოლოდინში არიან.

– ეს არის შენიღბული ქრთამი და კაცი, როდესაც სამსახურში იღებს მოქალაქეს და ეუბნება, რომ თქვენ ხელფასიდან მომცემთ ამდენს, ე.ი. „პოსლეზე“ იღებს ქრთამს. ეს ერთ-ერთი ფორმაა ქრთამის აღების და კიდევაც ვთქვი, რომ პროკურატურა თუ ობიექტურად ეცდება გამოძიების ჩატარებას, ქრთამის აღებისთვის პასუხისგებაში მისცემს თედო კობახიძეს.

უნდა გამოკითხონ თედო კობახიძეც, მანანაც, სხა პირებიც, ბანკიდანაც უნდა მიიღონ ოფიციალური დედნები, ანუ გამოძიება უნდა წავიდეს. არაა ეს პრობლემა, რომ ასე უცებ არ გვეძახიან. მიცემულია ყველაფერზე განმარტება და ველოდებით გამოძიებას, - განაცხადა კობა კობახიძემ. (პირველი რადიო)

● **ბედის ირონიაა, აბა, სხვა რა არის — ერთი კობახიძე მინიმუმ ორი კობახიძის დასჯას ითხოვს. შინაური არ სცოდნიათ და გარეულს რაღას უზამენ, წარმოდგენაც რთულია!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კრიმინალის პრობლემა ჩვენდა სამარცხვინოდ არსებობს, მაგრამ ვიზლიბერალიზაციის გადადების მიზეზი არ არის - ჭანტურია



– საპოლიციო თანამშრომლობა გერმანიასთან საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს, თუმცა, ეს პრობლემა ჩვენდა სამარცხვინოდ არსებობს, მაგრამ არ არის ამ საკითხის გადადების მიზეზი, - აცხადებს გერმანიაში საქართველოს ელი ლადო ჭანტურია. დიპლომატი აღნიშნავს, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას და იმედოვნებს, რომ გერმანიაში პრემიერ-მინისტრის შეხვედრების დროს ეს მხარდაჭერა უფრო მკაფიოდ წარმოჩინდება.

– საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობა ბოლო წლებში განსაკუთრებული დინამიკით გამოირჩევა. ჩვენ ყველა საკითხში გვაქვს გერმანიის აბსოლუტური მხარდაჭერა, მათ შორის, ვიზალიბერალიზაციის საკითხში და იმედი მაქვს, რომ შეხვედრების დროს ეს კიდევ უფრო აშკარად და ხელმისაწვდომად გაჟღერდება ჩვენი მოსახლეობისთვის. ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადადება არ უკავშირდება მხოლოდ საქართველოს, არსებობს შიდაპოლიტიკური საკითხები გერმანიაში, ზოგ სხვა წევრ სახელმწიფოში და ამ საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. საქართველომ ვიზალიბერალიზაციის საკითხში ყველა საშინაო დავალება უმაღლეს დონეზე შეასრულა. ეს აღიარებულია შენგენის წევრი ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, გერმანიის მიერ. ასე რომ ამ საკითხის გადადება საქართველოს ბრალით არ ხდება. კრიმინალთან დაკავშირებული პრობლემა არსებობს, მაგრამ ეს პრობლემა არ არის ამ საკითხის გადადების მიზეზი. კრიმინალთან დაკავშირებული პრობლემა ჩვენთვის ადრეც იყო ცნობილი, - განაცხადა ლადო ჭანტურიამ. (პირველი რადიო)

● **სიტყვიერი მხარდაჭერა ჯიბეში ჩაიდონ გერმანელებმაც, იტალიელებმაც, ფრანგებმაც და ზოგადად, ვისაც ამის სურვილი ექნება! საქმე ის არის, რომ ამ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს შედეგიც უნდა ახლდეს თან, სხვანაირად ყველაფერი სისულელე და უაზრობა გამოდის!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სირაქლემა და სარკე - „წულუკიანი ეძებს განტევების ვაცს, ოღონდ როგორმე მას რამე არ დაბრალდეს“

ექსპერტი გია ხუხაშვილი ხელისუფლებას რჩევას აძლევს და მოუწოდებს სირაქლემას პოზიციიდან გამოვიდეს და სარკეში ჩაიხედოს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც ვანო მერაბიშვილის საქმეზე გამოვიდა, ხუხაშვილი ამბობს, რომ ეს ქვეყნისთვის დამაზიანებელია:

– ეს არის ძალიან დამაზიანებელი და ცუდი. მე ხელისუფლებას ვურჩევ, სირაქლემის პოზის დაჭერას და გადაფარვის მეთოდით რაღაც-რაღაცების ლაპარაკს, სარკეში ჩაიხედონ და ცოტა თვითკრიტიკულები იყვნენ იმისათვის, რომ კი ბატონო, შეიძლება შეცდომა დაუშვი, მაგრამ შენ თუ მუდმივად ჯიუტად ამტკიცებ, რომ უშეცდომო და ანგელოზი ხარ, ეს ახალ უფრო მძიმე შეცდომასთან მიგიყვანს და შანსს არ დაგიტოვებს, რომ ოდესღაც მაინც გახდე კომპეტენტური და საღად მოაზროვნე, - აცხადებს ხუხაშვილი.

რაც შეეხება თავად ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას, ექსპერტი უფრო მეტად მის შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე შინაარსზე. აღიარა თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად, სხვადასხვა მოსაზრება აქვთ ხელისუფლებასა და ოპოზიციას. ექსპერტი გია ხუხაშვილი კი მიიჩნევს, რომ ფაქტი ერთია - სტრასბურგმა საქართველოსთვის და მისი ევროპული გზისთვის არც ისე სასიამოვნო დასკვნა დადო, რომელზეც პოლიტიკური პასუხისმგებლობა ვილაცამ უნდა აიღოს:



– საერთოდ საქართველოში ასე ხდება, რომ ჭეშმარიტება რჩება სადღაც შუაში. მე არა მგონია, რომ აქ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას აფრქვევდეს ან ერთი, ან მეორე მხარე. ფაქტია, რომ სტრასბურგის სასამართლოს ამ პროცესთან დაკავშირებით აქვს სერიოზული შენიშვნები. პოლიტპატიმრობა იგულისხმება ამაში თუ არ იგულისხმება, იმას ეხება თუ ამას ეხება, ეს საკითხი არის ბუნდოვანი. ფაქტია, რომ სტრასბურგის სასამართლოს დასკვნაში, არის რაღაც მუხლებზე აპელირებით - მეხუთეს მესამე და მე-18 ზე აპელირებით, რომ მთელ ამ პროცესში იყო გარკვეული დარღვევები. ეს დარღვევები არის თუ არა მისი პოლიტპატიმრად გამოცხადების საფუძველი, მე ამაზე კატეგორიულად ვერ ვისაუბრებ. მაგრამ ფაქტია, რომ ამას უნდოდა მოხერხება და აქ ორი ვარიანტია - ცუდი და ძალიან ცუდი. ცუდია, რომ ეს არის ზღვარს გადასული არაკომპეტენტურობა ხელისუფლების მხრიდან, როდესაც სამართლებრივად გამართული საქმე შეგიძლია იმდენად გააფუჭო, რომ შედეგად ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურგში. არის კიდევ უარესი - საბოტაჟი, შეგნებულად ხდება ეს ყველაფერი. არც ერთი არ არის კარგი. რომელი უფრო მეტი უბედურებაა, ჩემთვის ძნელი სათქმელია, - განაცხადა გია ხუხაშვილმა. (პირველი რადიო)

## სანკტ-პეტერბურგში პუტინის, ალიევისა და სარგსიანის შეხვედრა გაიმართება



20 ივნისს სანქტ-პეტერბურგში ვლადიმერ პუტინის, სერჟ სარგსიანისა და ილჰამ ალიევის შეხვედრა გაიმართება. პუტინის თანაშემწის ინფორმაციით, ქვეყნის ლიდერები მთიანი ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების საკითხს განიხილავენ.

– თავდაპირველად იგეგმება პუტინისა და ალიევის, ასევე, პუტინისა და სარგსიანის შეხვედრები, ხოლო შემდეგ სამი ქვეყნის ლიდერი მოლაპარაკებებს ერთად გამართავს, — განაცხადა იური უშაკოვმა.

როგორც უშაკოვმა აღნიშნა, კონფლიქტის მოსაგვარებლად შედგა პუტინისა და ალიევის, ასევე, პუტინის და სარგსიანის სატელეფონო საუბარი. მოსკოვში ორივე ქვეყნის თავდაცვის მინისტრები და გენერალური შტაბების უფროსებიც იმყოფებოდნენ. აპრილის დასაწყისში კი ერევანსა და ბაქოში რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ჩავიდა. (kvira.ge)

## ახლა ძალიან გვიანი ხომ არ არის შეცდომების აღიარება, ამერიკელებო?!



აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე ედ როისმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოსა და უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით რუსეთს არასათანადო პასუხი გასცა:

– თუკი პუტინი გააგრძელებს აშშ-ის აღქმას, როგორც მისი მიზნებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად, მაშინ კომპრომისი ნულის ტოლია. მისი საქციელი დღეს მეტწილად ასე გამოიყურება, რაც ცხადი გახდა უკრაინაში შეჭრით და იმით, რაც მოხდა საქართველოში. სამწუხაროდ, პუტინმა არაერთხელ სამართლიანად გათვალა, რომ მის აგრესიაზე ადმინისტრაციის პასუხი უსიცოცხლო იქნებოდა. შეერთებულმა შტატებმა ევროკავშირთან და სხვებთან თანამშრომლობით დააწესა სანქციები, რომელმაც მოახდინა რუსეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ზეწოლა, თუმცა ადმინისტრაციამ უარი თქვა მიეწოდებინა უკრაინისთვის შეიარაღება, რუსეთის ტანკების შესაჩერებლად და ეს რუსეთის მხრიდან მხოლოდ სისუსტედ იქნებოდა აღქმული, - განაცხადა ედ როისმა.

კომიტეტში მომხსენებლად ჰყავდათ მიწვეული შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი რუსეთის ფედერაციაში მაიკლ მაკფოლი, რომელმაც განაცხადა, რომ ობამას პასუხი უფრო მკაცრი იყო უკრაინის მოვლენებზე, ვიდრე ჯორჯ ბუშის რეაქცია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

– ყოველთვის, როდესაც რუსეთის ლიდერი გადაწყვეტდა ძალის გამოყენებას აღმმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული მოძრაობების ჩასახშობად, ამერიკას ამის შესაკავებლად კარგი არჩევანი არ ჰქონია. იქნებოდა ეს 2008 წელს საქართველოში ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის დროს, 1981 წლის სოლიდარობის სადამსჯელო ღონისძიება რეიგანის დროს, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის თუ 1956 წლის უნგრეთის მოვლენების დროს, ჩვენ არ გვქონია სამხედრო საშუალებები მათ შესაჩერებლად. საინტერესო რამ უნდა გითხრათ, მჯერა, რომ ობამას ადმინისტრაციის პასუხი უფრო ჰგავს რეიგანის პასუხს პოლონეთის 1981 წლის მოვლენებზე, ვიდრე ჯორჯ ბუშის პასუხი იმაზე, რაც მოხდა საქართველოში 2008 წელს, - განაცხადა მაიკლ მაკფოლმა. (ნიუპოსტი)

# რატომ არ აიაფებენ აფთიაქები წამლებს და რა უნდა გააკეთოს მთავრობამ ფასების შესამცირებლად?






ნინო ლაზარიშვილი
571 99-92-33


„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" „აფბა", არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანდაცვის პლატფორმასთან" ერთად, მედიკამენტების ბაზარზე ფასების მონიტორინგის ბოლო კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ მაისში, აპრილთან შედარებით, „ფანასკერტელის ინდექსი" 17,43%-ით გაიზარდა და 13 პუნქტი შეადგინა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მედიკამენტების ბაზარზე ფასები მნიშვნელოვნად მომატებულია.

**„ალიას" აღნიშნული კვლევის შედეგებზე უფრო დეტალურად „აფბა"-ს პრეზიდენტი, შოთა გულბანი ესაუბრა:**

– როდესაც ჩვენ რამდენიმე თვის წინ აღნიშნული კვლევა დავიწყეთ, დაემთხვა სააფთიაქო ბაზარზე ახალი მოთამაშის „ჰუმანითი ჯორჯიას" გამოჩენა, რომელსაც საკმაოდ სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდა. მან საკმაოდ დაბალ ფასად – 30, ხშირ შემთხვევაში, 40-60 პროცენტით გაიაფებული მედიკამენტები შესთავაზა მომხმარებლებს. ამან გააჩინა საკმაოდ დიდი მოლოდინები სააფთიაქო ბაზრის დანარჩენ მოთამაშეებთან მიმართებაში და მათ რეალურად დაიწყეს თავიდან მედიკამენტებზე ფასების შემცირებები, რასაც ჩვენ ყოველთვიურ რეჟიმში ვაკვირდებოდით. არ ვამბობ, რომ ეს შემცირება მოსახლეობას შვებად მოეგვრებოდა, მაგრამ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ფასების შემცირების ტენდენცია ფიქსირდებოდა. უკვე ბოლო თვეს მხოლოდ 0,3 პროცენტით შემცირდა ფასები და როდესაც „ჰუმანითი ჯორჯიამ" თავისი ეფექტი დაკარგა, სხვა ფარმაცევტულმა კომპანიებმა გადაწყვიტეს, რომ ფასები ისევ გაეზარდათ. ფასებს გაზრდიან თუ შეამცირებენ, ეს აბსოლუტურად მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული და არა საბაზრო პრინციპზე და ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც ამ პერიოდის განმავლობაში შეგვიძლია, გამოვიტანოთ: ამ კომპანიებს აქვთ იმის რესურსი, რომ მედიკამენტებზე ფასები შეამცირონ, უბრალოდ, მოქმედებენ ისე, რომ რა პერიოდიც დგას ამ ბაზარზე, იმის მიხედვით გადაალაგონ თავიანთი საფასო პოლიტიკა, რომ შესაბამისად, მიიღონ ნეტი მოგება და არც მომხმარებლები დაკარგონ.

**— საქართველოში მედიკამენტების მაღალ ფასებთან დაკავშირებით „ალიასთან" არაერთხელ ისაუბრა ჯონდი ბაღათურიამ. ის აცხადებს, რომ კარტელურ გარიგებებს აქვს ადგილი. თქვენ თუ აწარმოებთ ამ კუთხით კვლევას?**

– საფუძვლიანი ეჭვი, რომ კარტელური გარიგებები შეიძლება არსებობდეს, ამაში მეც დავეთანხმები მას, რადგან რეალურად რამდენიმე ბრენდული სააფთიაქო ქსელი არსებობს და მათ მიერ ფასების აწევ-დაწევა, ძირითადად, ერთ პერიოდს ემთხვევა ხოლმე. დანარჩენი წვრილ-წვრილი აფთიაქებიც ფასების ცვლილებას ამ მსხვილ აფთიაქებს მიუსადაგებენ ხოლმე. ასე რომ, სადღაც გამართლებულია ბატონი ჯონდი ბაღათურიას ვარაუდი, მაგრამ მე ამის დამამტკიცებელი კონკრეტული ფაქტები არ მაქვს. ეს არის კონკურენციის სააგენტოს პრეროგატივა, დაადგინოს შესაბამისი მოკვლევით და დოკუმენტაციის წარდგენით, რომ მართლა იყო რაღაც პერიოდების განმავლობაში ფასების ერთდროულად აწევ-დაწევა, როგორც, მაგალითად, ნავთობკომპანიების შემთხვევაში გამოავლინეს და დააჯარიმეს.

**— ნავთობკომპანიების დაჯარიმების შემდეგ, კონკურენციის სააგენტომ რიხით განაცხადა, ახლა უკვე სააფთიაქო ბაზარს შევისწავლითო, მაგრამ ნათქვამი ნათქვამად დარჩა. ყოველ შემთხვევაში, არსად გაჟღერებულა ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა სააგენტომ დადებული პირობის შესრულება დაიწყო. თუ გაქვთ ინფორმაცია, რამეს აკეთებს კონკურენციის სააგენტო ამ მიმართულებით?**

– სააფთიაქო ბაზრის კონკრეტულად ამ კვლევის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩვენ გვქონდა შეხვედრა კონკურენციის სააგენტოსთან, იყო რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც, რომელმაც შეიტანა განცხადება-მოთხოვნა, რომ მათ დაეწყოთ სააფთიაქო ბაზრის მოკვლევა. როდესაც კონკურენციის სააგენტოში მოთხოვნა შეგაქვს, ის იძულებულია, მასზე რეაგირება მოახდინოს და შესაბამისი კვლევა დაიწყოს, მაგრამ ეს ფარმაცევტული სექტორი იმდენად მრავალმხრივი და რთული შესასწავლია, რომ მათ თუ არ ექნებათ კონკრეტული ფაქტები, კონკრეტული არგუმენტები კვლევის დასაწყებად, ისინი ამას ვერ გააკეთებენ. ის განაცხადი, რაც შეტანილი იყო რომელიღაცა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, მათ, ბუნებრივია, განიხილეს, მაგრამ ეს იმდენად არასაკმარისი და ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე იყო, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მის საფუძველზე კვლევის დაწყება. კონკურენციის სააგენტო ბაზარს იკვლევს ან შესული მოთხოვნების საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივიდან გამომდინარე და ეს ფარმაცევტული სექტორი იმდენად შავ-ბნელი სფერო და აუღებელი ციხესიმაგრეა, რომ, როგორც ჩანს, საკუთარი ინიციატივით კვლევის დაწყებისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ.

**— ჯონდი ბაღათურიამ მეზობელ ქვეყნებში შეძენილ, ერთი და იგივე წარმოებისა და დასახელების მედიკამენტზე არსებული ფასების და აქ, ადგილზე შეძენილი იგივე მედიკამენტების „ჩეკები" სხვა მის ხელთ არსებულ საბუთებს თან დაურთო, მთავრობას გაუგზავნა და პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილსაც მიმართა, საქართველოს სააფთიაქო ბაზრის შესწავლის მოთხოვნით. თქვენ ხომ არ აპირებთდოკუმენტები, კვლევის შედეგები მიაწოდოთ კონკურენციის სააგენტოს სააფთიაქო ბიზნესის შესწავლის მოთხოვნით?**

– ჩვენ რასაც ვაქვეყნებთ, ისედაც ხომ არიან შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ამას თვალყურს ადევნებენ? ამ შემთხვევაში რა პროექტსაც ვახორციელებთ უკვე მეშვიდე თვეა, თვითონ ამ ეკონომიკური ინდექსის დატვირთვაა, ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს, რა ხდება ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული, მთავრობას მივმართოთ კიდეც, უბრალოდ, მიმართვა არ უნდა იყოს ზერელე, დასაბუთებული და არგუმენტირებული უნდა იყოს. კიდევ მეორე საკითხია, რა შეუძლია მთავრობას, გააკეთოს.

**— და რა შეუძლია?**

– მას ორი რამის გაკეთება შეუძლია: 1. ბაზრის დივერსიფიცირება და 2. უცხოური გამოცდილების გათვალისწინება. მაგალითად, ევროკავშირის. შეუძლია, პირდაპირი ჩარევა განახორციელოს ფარმაცევტული კომპანიების მიერ წარმოებულ საფასო პოლიტიკაში და მათ მითითებები მისცეს – თუ, დავუშვათ, შემოიტანე ამა და ამ ფასად კონკრეტული დასახელების მედიკამენტი, მასზე ფასნამატი არ უნდა აღემატებოდეს, მაგალითად, 40-45 პროცენტს. ან როგორც კანადაში არის მედიკამენტების შემსწავლელი საბჭო, თუ რომელიმე ფარმაცევტული კომპანია გადაწყვეტს, რომელიმე კონკრეტულ მედიკამენტზე ფასი გაზარდოს, ეს ამ საბჭოს უნდა შეუთანხმოს. მერე ეს საბჭო შეისწავლის, რამდენად მიზანშეწონილია ამ მედიკამენტზე ფასების ზრდა და ან მისცემს ამის ნებას, ან – არა.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიბერალური სააფთიაქო ბაზარია, სადაც მედიკამენტებზე ფასები უფრო ნაკლებად რეგულირდება, მაგრამ, თუ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, იმ ქვეყნებში, სადაც ეს საკითხი რეგულირდება, მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ფასები გაცილებით ხელმისაწვდომია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს შეუძლია, უხეში ჩარევა განახორციელოს, რასაც, ცხადია, ეს ფარმაცევტული კომპანიები ცუდად შეხვდებიან, ან წავიდეს მეორე გზით და მოახდინოს ბაზრის უფრო მეტად დივერსიფიცირება, ახალი ინვესტორები დააინტერესოს, მედიკამენტების ახალი წარმოება გააკეთოს ქვეყანაში (დღეს მხოლოდ ორი ქართული მწარმოებელი გვყავს ამ კუთხით ბაზარზე). როგორც ბოლო პერიოდში გაირკვა, საქართველოს ხელისუფლება უფრო ბაზრის დივერსიფიცირების გზით მიდის, „ჰუმანითი ჯორჯიას" სახით უცხოელი ინვესტორი დააინტერესა, რაც ნიშნავს, რომ კონკურენცია გაჩნდება და ეს, როგორც წესი, ყოველთვის ფასების დაწევას განაპირობებს.

**— რამდენად ეფექტური იქნება მთავრობის მხრიდან სააფთიაქო ბაზრის დივერსიფიცირება იმ ფონზე, როდესაც ვნახეთ, რომ დროებითი ეფექტი ჰქონდა ახალი მოთამაშის, „ჰუმანითი ჯორჯიას" შემოსვლას? დღეს მედიკამენტებზე ფასები ისევ იზრდება და როგორც ვხედავთ, სულ რაღაც, 4-5 თვეში ამას უკვე შედეგი აღარ აქვს.**

– ძალიან საინტერესო და თან ძალიან რთული შეკითხვაა... ამ შემთხვევაში, ფარმაცევტული კომპანიები მოქმედებენ გადაწყვეტილებებში საკმაოდ თავისუფლად, რამაც მათი მოგება უნდა გაზარდოს, მათ არავინ არაფერს უკონტროლებს. მე ვიტყოდი, რომ ამ შემთხვევაში, „ჰუმანითის" ეფექტი მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა, ანუ საჭიროა, ბაზრის მეტი დოზით დივერსიფიცირება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ივნისიდან კიდევ უნდა შემცირდეს მედიკამენტზე ფასები, რადგან „ჰუმანითი ჯორჯიამ" „საპარტნიორო ფონდთან" რომ გააფორმა ეს ხელშეკრულება, მას ვალდებულება აქვს, ყოველი ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ახალი პრეპარატები კიდევ 30 პროცენტით გაიაფებული შემოიტანოს, რადგან „საპარტნიორო ფონდი" მას დაეხმარა, დაახლოებით, 20 მილიონი მისცა. ივნისის გაიაფება კიდევ უფრო მეტი სტიმული იქნება, რომ სხვა კომპანიებმაც გააიაფონ მედიკამენტების ღირებულება.

**— დაბოლოს: მომხმარებელთა რა ჯგუფზე გათვალისწინებულ მედიკამენტებზეა გაზრდილი ფასები და რამდენით?**

– ჯგუფები არ გამომიყვია, რადგან ეს 200 დასახელების მედიკამენტი იცით, როგორ არის შერჩეული? ჯამში, მიმოქცევაში 16 ათასი დასახელების მედიკამენტია, ამდენი მედიკამენტის შესწავლას და მასზე ფასების მონიტორინგს კი მთელი ჯანდაცვის სამინისტრო არ ეყოფა. ამ 200 ცალში მაქსიმალურად, ოპტიმალურად არის შერწმული და კომბინირებული როგორც ორიგინალი დასახელების, ასევე ჯენერიული დასახელების როგორც იმპორტირებული, ასევე, ადგილობრივი წარმოების მედიკამენტები. ყველაზე პოპულარულები და ყველაზე მოხმარებადები რომლებიც არის, ის მედიკამენტებია ამ 200-ში. რა თქმა უნდა, თავის დროზე, როდესაც კვლევა დავიწყეთ, ჩვენ ეს სია შევადგინეთ კვალიფიციურ ექსპერტებთან კონსულტაციების გზით და ახლა ეს სია ველარ შეიცვლება, რადგან ასეთ შემთხვევაში, შემდგომი თვის კვლევა უკვე არაადეკვატური გამოვა იმიტომ, რომ შესადარი ბაზა დაგვეკარგება. რაც შეეხება ფასების ზრდას: ბოლოს, მაისში, აპრილთან შედარებით, 17,44 პროცენტით გაიზარდა მედიკამენტების ფასები, 200-დან 78 მედიკამენტზეა ფასი გაზრდილი.

## შაორის ტბაში 18 და 19 წლის ბიჭები დაიხრჩნენ



ადგილობრივმა მაშველებმა შაორის ტბიდან ახალგაზრდა მამაკაცების ცხედრები ამოიყვანეს. არსებული ინფორმაციით, 18 და 19 წლის ახალგაზრდები ტბაში სავარაუდოდ, თევზაობდნენ.

ახალგაზრდების გარდაცვალების ფაქტს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურშიც ადასტურებენ. (ნიუპოსტი)

## ქუთაისში სტუდენტები გაქურდეს - ახალგაზრდები პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებენ




ქუთაისში ახვლედიანის ქუჩაზე აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტები გაქურდეს. შემთხვევა ორი კვირის წინ მოხდა.

როგორც დაზარალებულები განმარტავენ, საღამოს 10 საათისთვის სახლიდან გავიდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მეზობელმა ტელეფონით აცნობა, რომ მათ ბინასთან რამდენიმე საეჭვო ახალგაზრდა შეამჩნია.

სახლში დაბრუნებულ სტუდენტებს ოთახიდან პირადი და სამსახურებრივი ტექნიკა მოპარული დახვდათ.

– ჩემი საკუთარი ძვირადღირებული ლეპტოპი წაიღეს. გარდა ამისა, აღარაა სამსახურის 2 პლანშეტი და ციფრული კამერა. ასევე, ჩემს მეგობარსაც მოპარეს ციფრული ფოტოაპარატი. ზარალი დაახლოებით 2 500 ლარამდეა. ისე შეგვეშინდა, მეზობლებმა სასწრაფო დახმარებაც გამოიძახეს, - ამბობს დაზარალებული ფატიმა კოკაია.

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტები ახვლედიანის ქუჩაზე ნაქირავებ სახლში ცხოვრობენ. მათ მომხდარი ფაქტის შესახებ სამართალდამცავებს მაშინვე აცნობეს. თუცა, მათივე განცხადებით, პოლიციის მხრიდან რეაგირება ამ დრომდე არ არის.

– მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რომ გამოძიება მიმდინარეობს. ფაქტია, ამ ხნის მანძილზე არც ნივთები ჩანს და არც დამნაშავეები არიან დაკავებული, - აცხადებენ სტუდენტები და პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებენ. (ნიუპოსტი)

## რუსული პენსია, რუსეთთან უვიზო რეჟიმი და ევრაზიული კავშირი - ბედუკაძე პოლიტიკაში მიდის



ლადო ბედუკაძე პოლიტიკაში მიდის. ის პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების" ერთ-ერთი ლიდერი გახდება. პარტია არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და ამომრჩეველს ხელშეკრულების დადებას სთავაზობს.

– გადავწყვიტე, გავწევრიანდე პარტია „ცენტრისტებში“. ასევე, მოვუწოდებ იმ ადამიანებს, ვინც თავის დროზე წვლილი ვერ შეიტანა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ნგრევის საქმეში, გაწევრიანდეს პარტიაში და ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე, - აცხადებს ბედუკაძე.

„ცენტრისტების" წარმომადგენელ თამაზ ხაჩიშვილის განცხადებით, ისინი მოსახლეობას 8-პუნქტიან გეგმას წარუდგენენ, რომელიც სურვილის შემთხვევაში, რუსული პენსიის დანიშვნას, 2017 წლის ბოლომდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და ევრაზიულ კავშირში გაერთიანებას ითვალისწინებს. (პირველი რადიო)

**● მიდი და მოვდივარ — ბედუკაძე აკლია ქართულ პოლიტიკას სრული ბედნიერებისთვის და ავშენდებით კიდეც!**

**ეეჰ, როდის ეღირსება ამ ქვეყანას ან ნორმალური მთავრობა, ან პარლამენტი ან ზოგადად, ნორმალურად და მშვიდად ცხოვრება?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პოლიციელებს საარჩევნო უბანთან ყოფნა კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშეც შეეძლებათ - ცვლილება საარჩევნო კოდექსში




საარჩევნო კოდექსში ცვილილებები შედის. არჩევნების დღეს პოლიციელებს კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშეც ექნებათ ყოფნის უფლება.

მთავრობის ინიციატივით მომზადებული საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია და განხილვა მომდევნო კვირას იგეგმება.

აღნიშნულ ფაქტს გამოხმაურება პარლამენტში უკვე მოჰყვა. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი დავით ბაქრაძე აცხადებს, რომ ხელისუფლება ამ ცვლილებებით კორცხელის ინციდენტის გადაფარვას და საერთაშორისო საზოგადოების მოტყუებას ცდილობს.

– ეს არის კორცხელის გადაფარვის მცდელობა და მცდელობა რამენაირად პასუხი გასცენ საერთაშორისო თანამეგობრობიდან და ქართული საზოგადოებიდან მომდინარე კრიტიკას. ის, რომ ძალადობაში მონაწილე პირების დასჯა დღევანდელი კოდექსით არ შეიძლება, არის ტყუილი. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ დეპუტატის პიჯაკის დაზიანებისთვის სამი ახალგაზრდა თვეობით გაუშვეს ციხეში, ამიტომ კოდექსში ყველანაირი მუხლი არსებობს, - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიეტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ კანონს კეთილშობილური მიზანი აქვს და საარჩევნო პროცესის ძალადობისგან თავის აცილებას ემსახურება.

– ჩანაწერი ემსახურება ერთადერთ მიზეზს, საჭიროების შემთხვევაში იყოს უსზუნველყოფა იმისა, რომ სამართალდამცავები იყვნენ ადგილზე. კანონის გამკაცრება არის ერთ-ერთი პრევენცია. ეს იყო პრემიერის ინიციატივა და მას კეთილშობილური მიზანი აქვს - დავაზღვიოთ ძალადობრივი გარემოსგან საარჩევნო გარემო, - აღნიშნა ეკა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „გთხოვთ, გამიგოთ, ვიწვი სირცხვილითა და უხერხულობით“ - გია მაისაშვილი



მას შემდეგ, რაც გია მაისაშვილმა „ფეისბუკ“ მეგობრებს ამცნო, რომ 40 დღიან შიმშილობას იწყებდა, უამრავი ადამიანი დადგა მის გვერდით და მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა. სამწუხაროდ, შიმშილობამ შედეგი არ გამოიღო, თუმცა ამის მიუხედავად, გია მაისაშვილს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია. ამჯერად ყველა იმ ადამიანს, ვინც ყოველთვის მის გვერდში იყო და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას განიცდიდა და გულშემატკივრობდა, მადლობას უხდის:

– გთხოვთ, გამიგოთ, რომ ვიწვი სირცხვილითა და უხერხულობით. ეს სიცოცხლე ღირებულა თქვენი უზომო სიყვარულისთვის. როგორც კი ფეხზე დავდგები, განახებთ როგორ უნდა ამ დიდი სიყვარულის უკან დაბრუნება. როგორ შეიძლება ჩვენს ქვეყანას უჭირდეს მაშინ, როცა ამხელა სიყვაულისა და სიკეთის პოტენციაა. ჩვენ ამ პოტენციას რეალობად ვაქცევთ. მადლობა სიყვარულისთვის. ასმაგად გიბრუნებთ უკან. სადაც სიყვარულია, იქ სიძნელეები გამორიცხულია. თუნდაც უბრალო ურთიერთობას დააკვირდით თუ ეს გენიალური ფორმულა არ მუშაობდეს, - წერს გია მაისაშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სპეკულაცია, რომ სტრასბურგის სასამართლომ პოლიტიკურ პატიმრად ცნო მერაბიშვილი, არასწორია“



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, სპეკულაცია იმაზე, რომ სტრასბურგის სასამართლომ ექს-პრემიერი ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად ცნო, არასწორია.

ხმალაძის თქმით, სასამართლომ მიმართვები დასაბუთებულად არ მიიჩნია, ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებით, არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია.

– სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ არ მიიღო სარჩელის ის ნაწილი დასაშვებად, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. არ მიიჩნიეს მიმართვები დასაბუთებულად. ფაქტობრივად, გამაგრებულად. ამიტომ ამ საკითხზე სასამართლომ არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღო. სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ სტრასბურგის სასამართლომ პოლიტიკურ პატიმრად ცნო ვანო მერაბიშვილი, არ არის სწორი, - განაცხადა ხმალაძემ. (pia.ge)

## ტყიბულში მკვლელობა მოხდა




ტყიბულში, მერკვილაძის ქუჩაზე 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. არსებული ინფორმაციით, ის ამავე უბნის მცხოვრებმა მამაკაცმა ცივი იარაღით დაჭრა. დაჭრილი ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა მკვლელობაში ეჭვმიტანილის სახლში მოხდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, სამართლდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი ცხელ კვალზე დააააკავეს.

– შსს-მ ტყიბულში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა. საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ოთარ ბ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 15 ივნისს ქალაქ ტყიბულში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1974 წელს დაბადებული რამაზ ხ. ცივი იარაღით დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი - დანა ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით), - განაცხადეს შსს-ში. (ინტერპრესნიუსი)

## ბიზნესმენი ალიკა დავითაძე გარდაცვლილი იპოვეს



ბათუმში ბიზნესმენი ალიკა დავითაძე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. დავითაძის ოჯახის წევრები ვარაუდობენ, რომ ბიზნესმენი მოკლულია.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. უწყების ინფორმაციით, დანიშნულია ექსპერტიზა, რაც გარდაცვალების მიზეზს დაადგენს.

ალიკა დავითაძე აჭარაში გავლენიან ბიზნესმენად ითვლებოდა. ის ასლან აბაშიძის დროიდან მოყოლებული დღემდე არაერთ ბიზნესს ფლობდა. დავითაძე მიხეილ სააკაშვილის დროს იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს, რისთვისაც სასჯელის სახით 5 წელი და სამი თვე ციხეში გაატარა. პატიმრობაში მყოფმა დავითაძემ საკუთარი ბიზნესი შვილიშვილსა და რძალს გადასცა. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ გახშირდა პოლიციელების მხრიდან ქუჩაში მოქალაქეების უმიზეზოდ ცემა

## და რატომ არ სჯის შსს დამნაშავე პოლიციელებს?












მაკა დეკანოსიძე

551 99-18-19


ცხრაწლიანი პოლიციური რეჟიმის მმართველობის შემდეგ, მოლოდინი, რომ პოლიცია ადამიანებზე აღარ იძალადებდა, საზოგადოებაში საკმაოდ დიდი იყო, თუმცა მახინჯ და მანკიერ ტრადიციას „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში არა თუ წერტილი დაესვა, არამედ ახალი სახე მიიღო. „ნაციონალები“ თუ პოლიციის ცალკეულ დანაყოფებს „აზონდერებდნენ“, ნიღბებით გამოჰყავდათ ადამიანების დასარბევად და საცემად, „ოცნების“ პოლიციაში ტენდენციური გახდა მოქალაქეებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება ქუჩაშივე და ხშირად ძვალ-რბილის გაერთიანება, სრულიად აბსურდული და გაუგებარი მიზეზებით.

ამაზე ქუთაისში მომხდარი ბოლო ინციდენტიც ნათლად მეტყველებს, როცა რამდენიმე სამართალდამცველი ახალგაზრდა მამაკაცს ფიზიკურად მხოლოდ იმიტომ გაუსწორდა, რომ საჭესთან მჯდომმა ახალგაზრდამ სამართალდამცავებს „დაუსიგნალა“. იქნებ რა უჭირდა, ამათ კი მანქანიდან გადმოიყვანეს, შესდგნენ და უმოწყალოდ სცემეს. შემდეგ კი ქალაქის პოლიციის №5 განყოფილებაში გადაიყვანეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა დააბრალეს. მომხდარის გამო სამართალდამცავებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

პოლიციის მხრიდან არასათანადო და გადამეტებული ძალის გამოყენებაზე „ალია“ გასულ ნომრებშიც წერდა. ერთ-ერთი რესპონდენტი, მუსიკალური ჯგუფის „ყველას“ წევრი, გუგა გეგეჭკორი ჩვენთან საუბარში ჰყვებოდა, რომ პოლიცია გაუსწორდა და „ნაძალადევის“ ერთ-ერთ განყოფილებაში, გამჭვირვალე შენობის დახურულ „პადვალში“, ჯერ სკამზე მიაბეს და მერე სასტიკად სცემეს და ეს მხოლოდ იმიტომ, მან სოციალური ვიდეორგოლის გადაღების დროს, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქეს, პოლიციელსაც სთხოვა აზრის დაფიქსირება, რასაც ჯერ პოლიციელის გალიზიანება და ტელეფონის წართმევა მოჰყვა, შემდეგ კი, როცა ვიდეორგოლის წაშლაზე უარი განაცხადა, პოლიციელმა დასახმარებლად თანამშრომლებს დაუძახა და გეგეჭკორს დაუმორჩილებლობის გამო „პადვალში“ ძვალ-რბილი გაუერთიანეს. ამის შემდეგ კი მცხეთის „კაპეზეში“ მოათავსეს და მეორე დღეს სასამართლომ აბსურდული ბრალდების შემდეგ, მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა, რომ პოლიციელებთან ზედმეტ კონტაქტში არ შესულიყო, თუმცა მისი ცემის გამო დღემდე არავინ დასჯილა.

სამაგიეროდ, სამმართველოს უფროსების ერთმანეთის დასისხლიანების გამო „დასაჯეს“ პოლიციელები, დასაჯეს რა, თანამდებობებიდან გაუშვეს. აღნიშნული შემთხვევა რამდენიმე კვირის წინ მოხდა, როდესაც ზესტაფონის სამმართველოს ნასვამმა უფროსმა პავლე ბუბულაშვილმა და ტყიბულის სამმართველოს უფროსმა ზაზა ჩუბინიძემ ერთ-ერთ რესტორანში შელაპარაკების ნიადაგზე ერთმანეთი ხელკეტებით სცემეს და გასროლასაც არ მორიდებიან საზოგადოების თავშეყრის ადგილზე.

მოკლედ, „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლიდან დღემდე გაუხსნელი თუ დაუსჯელ პოლიციელთა მხრიდან გამოჩენილი ძალადობის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ამას ჩასაფრებულის პოზიციიდან არ ვიხსენებთ, პოლიციაში ღირსეული თანამშრომლები მრავლად არიან, მაგრამ თავად რომ აქცევენ ხალხის თვალში პოლიციელებს ჯალათებად, ამაზე, შსს ალბათ, არც ფიქრობს, თორემ „წესრიგის დამცველები“ ბოლო ხანს ასე არ გათავხედდებოდნენ. მოქალაქეებზე უმიზეზოდ მოძალადე რამდენიმე პოლიციელს რომ მკაცრად დასაჯი, სხვა ველარ გაბედავდა ადამიანებზე ძალადობას, მაგრამ როგორც ამბობენ, არც დასჯიან, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ნათესავ-მეგობრობით არის მიღებული სამსახურში და „პატრონები“ ჰყავთ.

მანამდე კი, სანამ შსს „აზრზე მოვა“, გაგახსენებთ კიდევ რამდენიმე გახმაურებულ ფაქტს, სადაც პოლიციელთა სისასტიკე და არაადამიანური მოპყრობა გამოვლინდა მოქალაქეების მიმართ.

ძალადობისა და ცემის ერთ-ერთი გახმაურებული ფაქტი, რომელიც 2016 წლის 7 აპრილს მოხდა, იყო თარხან გასვიანის შემთხვევა, როდესაც სამოქალაქო ფორმიანმა პოლიციელებმა ის ჯერ ვაკის განყოფილებაში გადაიყვანეს, მათზე მაკომპრომეტირებელი ვიდეოს წაშლა მოსთხოვეს, შემდეგ კი გასახდელ ოთახში რამდენიმე საათი უმოწყალოდ სცემეს. როგორც გასვიანი ჰყვებოდა, იარაღამოღებულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიშას დროც კი ინატრა, რომ მჭიდი დაეცალა. ინციდენტში მონაწილე პოლიციელები, მანუჩარ შონია და გიორგი გაკაფაშვილი, როგორც თარხან გასვიანი ამტკიცებდა, მას პოლიტიკური კუთხით გაუსწორდნენ, რადგან გასვიანი „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი წევრი გახლდათ. გასვიანის ცემის ფაქტზე გენინსპექციამ მოკვლევა დაიწყო. პროკურატურაში კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ძალადობისა და იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტების მუხლით. ბრალის დადასტურების შემთხვევაში პოლიციელებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდათ და ჩამოერთმეოდათ თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის გაგრძელების უფლება სამ წლამდე ვადით. თუმცა, როგორც „ალიამ“ თარხან გასვიანთან საუბრის შემდეგ გაარკვია, ამ დრომდე ცემაში მონაწილე პოლიციელები თანამდებობებზე მუშაობენ, პროკურატურა კი დაზარალებულს უმტკიცებს, რომ ძიება გრძელდება და ამ მიზნით გასვიანის კუთვნილი მობილური ტელეფონი პროკურატურაში ინახება.

ასევე, საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა 2016 წლის 3 თებერვალს, ყვარელში მომხდარ შემთხვევას, როდესაც საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, მეგობრებთან ერთად მყოფი გიორგი მოლაშვილი პოლიციის თანამშრომლებმა მანქანაში ჩასვეს და სამმართველოში წაიყვანეს. მოლაშვილისა და მისი მეგობრების მტკიცებით, პოლიციელებს არ განუმარტავთ, რატომ და სად მიჰყავდათ 19 წლის ახალგაზრდა. პოლიციაში გადაყვანის შემდეგ კი, როგორც ადვოკატი ჰყვებოდა, პოლიციელებმა ახალგაზრდა მაგიდაზე დაახეთქეს, ერთ-ერთი ზემოდან დააჯდა და ცემა დაუწყო; ხელებზე ბორკილების დადების შემდეგ კი მეტლახზე დააგდეს. ბორკილებდადებულ ხელზე პოლიციელმა გუგულაშვილმა ფეხი დაადგა, რომ ცემის დროს წინააღმდეგობა ვერ გაეწია. ამის შემდეგ პოლიციის უფროსის კაბინეტში შეიყვანეს, ახალგაზრდა პოლიციის უფროსსაც უცემია, მუშტებით.

აღსანიშნავია, რომ ცემაში მონაწილე პოლიციელების დასჯის ნაცვლად, გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ გიორგი მოლაშვილს თავდაპირველად ბრალი წაუყენა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით, რაც პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას გულისხმობს და 2-დან 5 წლამდე პატიმრობით ისჯება. დამატებითი დაკითხვის პროცესში კი, როდესაც გიორგი მოლაშვილმა ყვარლის პოლიციის უფროსისა და თანამშრომლების მიერ მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის შესახებ განაცხადა, პროკურატურამ მას ბრალი დაუმძიმა და 3531-1 მუხლით დააკვალიფიცირა, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4- დან 7 წლამდე.

სასამართლომ 19 წლის ახალგაზრდას ბრალის წაყენების შემდე 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა და სასამართლო პროცესები დღემდე ჭიანურდება.

ასევე, დიდი რეზონანსი მოჰყვა, ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილების შენობაში, 2015 წლის 8 ნოემბერს, დილის საათებში, ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტს. ადვოკატის თქმით, მას ხელბორკილები დაადეს და 5-10 წუთის განმავლობაში სცემდნენ, რადგან მან დაკავებულ ახალგაზრდას ურჩია დუმილის უფლება გამოეყენებინა.

პროკურატურაში გამოძიება პოლიციის ცალკეული თანამშრომლების მიერ ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო. თუმცა ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემაში ბრალდებული ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილების ყოფილ უფროსს, ლაშა კვირკვაიას აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, 10 000-ლარიანი გირაოთი შეუცვალეს.

ასევე, გახმაურებული საქმე გახლდათ, გასულ წელს კლუბ „ვიტამინის“ თანამშრომლის ლიკა კიკიანის ინციდენტი. როგორც ის ირწმუნებოდა, სამართალდამცველებმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი სცემეს, მანქანაში ძალით ჩასვეს, პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს და „აიფონ 5“ დაუმტვრიეს.

საბოლოოდ კი, პოლიციიდან ხელწერილით გამოუშვეს, სამართალდამცავებმა კიკიანს პროვოკატორი უწოდეს და რამდენიმე თვეში აღნიშნული საქმეც მიიჩქმალა.

მოკლედ, ცემა-ტყეპისა და ძალადობის მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, ნარკოტესტირებაზე გადაყვანილი ყოველი მეორე მოქალაქე სამართალდამცავებს ბრალს სდებს, რომ მოშარდვაზე კანონით გათვალისწინებული უფლების, უარის გამოყენების შემთხვევაში მათზე ძალადობენ. მაგრამ ამ ეტაპზე აქ შევჩერდებით და დაველოდებით, რა რეაგირებას მოახდენს შსს და „ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც სააკაშვილს „პოლიციური სახელმწიფოს“ შექმნაში ადანაშაულებდა და სამართლიანადაც, თუმცა ახლა, მგონი, თავადაც არ ჩამორჩება, თუ არ გადაუსწრო კიდეც და უმეტეს შემთხვევაში, მოძალადე პოლიციელს ამართლებს მათი შეფობა, მსხვერპლი კი სამართალს ვერ აღწევს...

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



ომბუდსმენის აპარატის საქმის წარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, ილია ჭანტურაია, უჩა ნანუაშვილის წინააღმდეგ ღია ბრალდებებით გამოდის და უკვე მიმართა სასამართლოს. „ალიასთვის" ცნობილი ხდება, რომ ომბუდსმენმა თავის პირველ მოადგილესაც ამცნო თანამშრომლობის გაწყვეტის შესახებ და სახალხო დამცველის ოფისიდან წასვლისთვის გონივრული მიზეზის მოფიქრება ურჩია. ჭანტურაიას მიმართვის შემდეგ, სასამართლოს პირველი სხდომა 27 ივნისს არის ჩანიშნული. მანამდე „ალია" შეეცადა, თავად მოსარჩელე მხარისგან შეეტყო სახალხო დამცველის ოფისში დაწყებული დაპირისპირების დეტალები.

# ომბუდსმენის აპარატში სკანდალი მწიფდება

## რაში ადანაშაულებს დეპარტამენტის უფროსი უჩა ნანუაშვილს?





**„ალიას" ილია ჭანტურაია ესაუბრა:**

**— როგორც გავიგე, სახალხო დამცველს ადანაშაულებთ შევიწროებაში, რაში შეგზღუდათ, რა აგიკრძალათ და საერთოდ, რა ხდება?**

– ჩემ გარდა, კიდევ არის ამ ეტაპზე ორი ადამიანი. ერთია ერთ-ერთი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, რომელსაც, აქვს გაფრთხილება გამოცხადებული ჩემზე ადრე, შესაბამისად, მას ჩემზე ადრე აქვს შეტანილი სარჩელი სასამართლოში, მოგვიანებით კი ჩემი საქმე იყო და ჩემი საქმის გამო ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომელი, მაია ლიპარტელიანი, რომელიც გახლდათ კომისიის წევრი ჩემი საქმის განხილვაზე, რომ თითქოს გადაცდომები მქონდა, არ დაეთანხმა სახალხო დამცველს და მის მიმართაც დაიწყო დისკრიმინაცია, დააქვეითეს, დააკლეს ხელფასი და მიზეზად სახალხო დამცველმა პირდაპირ მიწერა, რომ ეს ხდებოდა ჩემი და საჯაიას „ქეისების" გამო. ჯერ არ აქვს შეტანილი სარჩელი, მაგრამ შეიტანს მალე. უშუალოდ ჩემთან მიმართებაში რაც ხდება, საქმე ისაა, რომ თავის დროზე, მქონდა საკმაოდ უსიამოვნო საუბარი ნანუაშვილის მოადგილესთან, ნათია კაციტაძესთან. ეს იყო თებერვალში და მაშინ კაციტაძემ, რომელიც არ არის ჩემი უშუალო კურატორი და ხელმძღვანელი (მე კურატორობას მიწევდა ომბუდსმენის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე), შეეცადა ჩემს საქმიანობაში ჩარევას, იძლეოდა კონკრეტულ მითითებებს, როგორ უნდა განგვეხორციელებინა კონკრეტულ წერილებზე პასუხი. თებერვალში შეხვედრამდე და მძიმე საუბრამდე, გვქონდა მიმოწერა მე და კაციტაძეს, რომელშიც ჩასმული იყო რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლები და ამ პირების მიმოწერაში ჩასმით ის მიმანიშნებდა გარკვეულ საკითხებზე, რისი უფლებამოსილებაც მას არ ჰქონდა. ამაზე მივუთითე, რომ არ ჰქონდა ჩარევის უფლება, დებულებით ჩემი ხელმძღვანელი იყო სახალხო დამცველის პირველი მოადგილე და ის სცდებოდა თავის უფლებამოსილებას. ეს არ მოეწონა სახალხო დამცველს, დამიბარა თავისთან, ნათიას თანდასწრებით, პირველი მოადგილეც ესწრებოდა ამ შეხვედრას და კაბინეტში შესვლისთანავე, მიმოწერის გამო გამომიცხადა სიტყვიერი საყვედური. გვქონდა საკმაოდ მწვავე საუბარი უფლებამოსილებებზე და ბოლოს მომთხოვა ბოდიშის მოხდა იმის გამო, რომ ამგვარი წერილი მივწერე ნათია კაციტაძეს. მე მაშინ ბოდიში არ მოვიხადე, რადგან მიკერძოებები და პირადი დამოკიდებულებები დავინახე მის მოქმედებაში. პირველ რიგში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კანონში წერია, რომ ბოდიშის მოხდის იძულება არ შეიძლება და მით უმეტეს სახალხო დამცველი ამას არ უნდა მოითხოვდეს. ეს მაშინვე განვუმარტე და თუ რაიმე დარღვევა მქონდა, ვუთხარი, რომ მას შეეძლო გამოეყენებინა კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომა. თუმცა მან ეს თავის დროზე არ გააკეთა. გარკვეული დროის შემდეგ, მქონდა მიმოწერა ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რომელიც ეხებოდა აპარატში არსებულ საკითხებს, ზოგადად, რომელმაც ჩათვალა, რომ ეს საკითხები უნდა განგვეხილა სახალხო დამცველის თანდასწრებით, ეს დაახლოებით ხდება მარტში და ავედით მის კაბინეტში უკვე მეორედ, იმ უსიამოვნო საუბრის შემდეგ. გავიარეთ ის თემა, რაზეც მივედით ჩვეულებრივ, ამ შეხვედრაზე იყო ნანუაშვილის ორივე მოადგილე. საუბრის დასასრულს კი წამოიჭრა საკითხი, რომ მე თანამშრომლებს ვეკონტაქტები კულუარულად.

**— ანუ თვლი, რომ უკვე ჩასაფრებულის პოზიციიდან დაგიწყეს ყურება?**

– დიახ, ზუსტი შეფასებაა და ამ შეხვედრაზე გამიხსენეს, რომ მე თითქოს 2015 წელს მქონდა რაღაც დარღვეული, ამის შემდეგ კი ჩემს თანამშრომლებთან სხვადასხვა დროს საუბარი ჩათვალეს ჭორაობად და ნათია კაციტაძეც და სახალხო დამცველიც პირდაპირ დამემუქრნენ, რომ ამის გამო მომთხოვდნენ პასუხს. რამდენიმე დღეში კაციტაძემ დაწერა მოხსენებითი ბარათი და ამის საფუძველზე დაიწყო ჩემს წინააღმდეგ დევნა. ჩატარდა კვლევა და გამომიცხადეს დისციპლინური საყვედური ამის გამო. რეალური მიზეზი იყო ეს დაპირისპირება და არა ის, რომ მე რაღაც დავარღვიე.

**— რაც შეეხება ომბუდსმენის პირველ მოადგილეს, პაატა ბელთაძეს, მასთან დაკავშირებით რა ხდება? გავიგე, რომ თითქოს მას მოსთხოვა ნანუაშვილმა პოსტის ნებაყოფლობით დატოვება. ეს მართალია?**

– სამწუხაროდ, არ მაქვს ამის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია, აპირებს თუ არა პოსტის დატოვებას, თუმცა დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ნანუაშვილმა გასულ კვირაში ის კაბინეტში დაიბარა და განცხადების დაწერა მოსთხოვა.

**— ამას თქვენთან დაკავშირებულ სკანდალს უკავშირებთ?**

– დიახ, სავარაუდოდ, ასეა.

**— ასევე, მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 105 ათასად შეძენილ ჯიპზე ინფორმაციის გაჟონვასაც ნანუაშვილი სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებს აბრალებს...**

– სახალხო დამცველი გააღიზიანა იმან, რომ ეს ინფორმაცია აქედან გავიდა, თუმცა ეს ინფორმაცია იყო საჯარო და არ იყო დაფარული, მაგრამ ნანუაშვილი გააღიზიანა იმან, რომ ეს გახდა საჯარო. შესყიდვების შესახებ ინფორმაცია იტვირთება ღიად და ეს არაა დაფარული ინფორმაცია.

**— სარჩელის შეტანის შემდეგ, რა ფორმით აგრძელებ სახალხო დამცველის ოფისში მუშაობა?**

– უკვე მივიღე ცნობა ახალი დისციპლინური საყვედურის დაწყების თაობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ჩატარდეს ადმინისტრაციული წარმოება, რომ ამას მოჰყვეს შემდეგ ან არ მოჰყვეს დისციპლინური პასუხისმგებლობა. თუმცა მაქვს მოლოდინი, რომ აქაც დადგება იგივე შედეგი, რაც იყო წინა შემთხვევაში. ამ დისციპლინურის დაწყებას მე აღვიქვამ დისკრიმინაციის გამოხატულებად. ამასაც გავასაჩივრებ, სამართლებრივად ვიბრძოლებ ბოლომდე.

**ილია ჭანტურაიასთან საუბრის შემდეგ, არასამუშაო საათების მიუხედავად, „ალია" ჭანტურაიას ბრალდებებზე კომენტარისთვის სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დაუკავშირდა. როგორც ჩვენთან საუბარში ომბუდსმენის აპარატის პრესსპიკერმა ანი თამაზაშვილმა განაცხადა, ჭანტურაიას ბრალდებებზე დეტალური პასუხის გაცემა დროის სიმცირის გამო გაუჭირდებოდა, თუმცა ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა ილია ჭანტურაია ანგარიშვალდებული სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძესთან და გავრცელებული ინფორმაციას ადასტურებდა თუ არა სახალხო დამცველის პირველი მოადგილის პოსტის შესაძლო დატოვებასთან დაკავშირებით, შემდეგი პასუხი მივიღეთ:**

„სახალხო დამცველს ჰყავს ორი მოადგილე, როგორ შეიძლება რომ მოქალაქეთა საქმის წარმოების დეპარტამენტი არ ეხებოდეს ერთ-ერთ მოადგილეს, ამ შემთხვევაში ნათია კაციტაძეს. ისეთი დეპარტამენტია, რომელიც ეხება ყველას, ერთ-ერთი მთავარი დეპარტამენტია ჩვენს აპარატში. შესაძლოა, ნათია არ ყოფილიყო პირდაპირი კურატორი, თუმცა რასაც ნათია კაციტაძე კურირებდა, ის ნაწილიც შედიოდა მოქალაქეთა საქმის წარმოების დეპარტამენტში. ამიტომ ის, რომ მას არ ეკუთვნოდა ნათიასთან ურთიერთობა, სრული აბსურდია. დისციპლინური საქმის წარმოების ნაწილზე ილიას სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და სასამართლო გადაწყვეტს. რაც შეეხება პაატა ბელთაძეს, ამ ინფორმაციას ვერ დაგიდასტურებთ, ის არის ბიულეტენზე წასული ამჟამად და ჩვეულებრივად არის სახალხო დამცველის პირველი მოადგილის პოსტზე".

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ხელვაჩაურში წვეულებაზე 24 ადამიანი მოიწამლა მათ შორის 11 ბავშვია




ხელვაჩაურში წვეულებაზე 24 ადამიანი მოიწამლა. მოწამლულთა შორის შორის 11 ბავშვია, რომლებიც სამ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს.

აჭარის ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო ნიჟარაძე აცხადებს, რომ პაციენტების წინასწარი დიაგნოზი დაუდგენელი ეტიოლოგიის ინტოქსიკაციაა.

– ბავშვები გადაიყვანეს ბავშვთა საავადმყოფოში, დანარჩენები კი ბათუმის ორ საავადმყოფოში. წვეულებაზე მყოფმა ჩინელმა სტუმარმა დაწესებულებაში მისვლაზე უარი განაცხადა, მისი მდგომარეობა არ იყო რთული. პაციენტების წინასწარი დიაგნოზი დაუდგენელი ეტიოლოგიის ინტოქსიკაცია იყო, - განაცხადა ნიჟარაძემ.

სოფელ სატეხიაში ინტოქსიკაციის ფაქტთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსიები აქვთ. ერთი ვერსიით, ინტოქსიკაცია გაზიანმა სასმელმა გამოიწვია, მეორე ნაწილი განზრახ მოწამვლასაც არ გამორიცხავს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „ბავშვს უწიოდა და ხშირად ხმამაღლა ჩხუბობდა" - რას ამბობს მაგდა პაპიძის მეზობელი



სასამართლოზე პაპიძის მეზობელმა ალა მარქაროვმა მკვლელობის დღე გაიხსენა და აღნიშნა, რომ 19 დეკემბერს ის პაპიძის დედამთილ დარეჯან მინდიკაურთან სტუმრად დედასთან ერთად იმყოფებოდა.

– მაგდა შემოვიდა, შემოიტანა დივნის გადასაფარებელი. საათნახევრიან რეჟიმზე ჩართო სარეცხის მანქანა. ცოტა ხანში დიდი რაოდენობით ქაფი და მოვარდისფრო-მოწითალო ფერის წყალი გამოჩნდა, - განაცხადა მოწმემ. მისივე თქმით, მკვლელობაში ბრალდებულს ცვალებადი ხასიათი ჰქონდა.

– ბავშვს უწიოდა და ხშირად ხმამაღლა ჩხუბობდა ხოლმე. ომარი წესიერი მეოჯახე, პასუხისმგებლიანი ადამიანი იყო, უყვარდა ცოლ-შვილი, ხშირად არ სვავდა და არც პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონია, - თქვა პაპიძის მეზობელმა. (ნიუპოსტი)

## ინგა გრიგოლია ნიკა მელიას უპირისპირდება



ინგა გრიგოლია „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროს ნიკა მელიას საქციელთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში წერს:

– „რუსთავი 2“-ს რომ არ ვერჩი, კი იცით და ამიტომ, იმედი მაქვს, ამ პოსტს „რუსთავის“ ლანძღვაში არ ჩამითვლით....ერთი პოლიტიკოსის ამბავი მინდა დავწერო მოკლედ, რომელიც დიდი ამბიციითა და გონორით საუბრობს ხოლმე ქვეყანაში არსებულ პრობლემებსა და სიტყვის თავისუფლებაზე. დღეს საარჩევნო შტაბის უფროსად დანიშნეს ეს პოლიტიკოსი, სახელად და გვარად ნიკა მელია. ხოდა, ეთერში უნდა მყოლოდა სტუმრად და უცებ გვირეკავენ - მელია ველარ იქნება, რადგან „რუსთავი 2“-ის გადაღებაზე წავიდა და ვეღარ იცლის თქვენთვისო....ნუ, ცხადია, ჩვენ არ აღმოვჩნდით პრიორიტეტულები,... მერე რა, რომ შეთანხმებული იყო. დაინახა „რუსთავი 2“-ის კამერა და გაქანდა. ხოდა, მერე ეს კაცი რომ ისაუბრებს მედიაზე, მედიასთან ურთიერთობის წესებსა და სიტყვის თავისუფლებაზე, როგორ არ დავცინო და დავხარხარო თავზე მის ხედვებს მედიის მნიშვნელობაზე. რა საყვარელია, დაინახა „რუსთავი 2“-ის კამერა და გაიქცა. (newstime.ge)

## რუსეთის ნაკრების გულშემატკივრებთან დაპირისპირებას, ინგლისელი მამაკაცი ემსხვერპლა




საფრანგეთში, ქალაქ ლილში, ინგლისისა და რუსეთის საფეხბურთო ნაკრებების გულშემატკივრებს შორის დაპირისპირებას 51 წლის ინგლისელი გულშემატკივარი ემსხვერპლა.

საფრანგეთის პოლიცია ფაქტთან დაკავშირებით, საგამოძიებო მოქმედებებს გაატარებს.

შეგახსენებთ, რომ რუსეთისა და ინგლისის ნაკრებების გულშემატკივრებს შორის საფრანგეთის ქალაქ ლილში დაპირისპირება მოხდა, რა დროსაც სამართალდამცავებმა რუსეთის ორი მოქალაქე დააკავეს.

რუსმა გულშემატკივრებმა იმ კაფესთან ჩაიარეს, რომელშიც 70-მდე ინგლისელი იმყოფებოდა. ორივე ნაკრების მხარდამჭერებმა ერთმანეთს ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი, სკამები ესროლეს. ვითარების განმუხტვა მხოლოდ პოლიციის მისვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. UEFA-მ რუსეთის საფეხბურთო კავშირი 150 ათასი ევროთი დააჯარიმა. (pia.ge

## „ბატონი „რიგითი მოქალაქე“ არ გამოთქვამს რაიმე მწუხარებას, რომ შესაძლოა არჩევნებამდე ვერ მივიღოთ ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი“



**საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტი, სოსო ცისკარიშვილი საუბრობს:**

**— როგორ შეაფასებდით, ივანიშვილის მიერ 14 ივნისს ბეჭდური და ონლაინ-მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაკეთებულ განცხადებებს, მათ შორის იმის შესახებ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი „შეიძლება, წლის ბოლოს გადაწყდეს“?**

– ბატონი „რიგითი მოქალაქე" არ გამოთქვამს რაიმე მწუხარებას, რომ შესაძლოა არჩევნებამდე ვერ მივიღოთ ვიზალიბერალიზაციის რეჟიმი. შესაძლოა, მას აქვს ზუსტი ინფორმაცია ევროკავშირზე გულგატეხილ ამომრჩეველთა მცირე ოდენობის შესახებ, რომელთაც, როგორც ნაწყენებს, ძალუძთ გაამრავლონ ევრაზიულ ტლაპოზე ორიენტირებულ, გზააბნეულ თანამემამულეთა რიცხვი. სასურველი კი იქნებოდა, საჯაროდ დაგვეფიქსირებინა ჩვენი სინანული და ყველასთვის შეგვეხსენებინა, რომ ნატომ „კარები გაგვიღო" 2008 წელს და გვამცნო, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებოდით ამ ალიანსის წევრი... ამჟამად, გულსატკენია, არა იმდენად ვიზალიბერალიზაციის თარიღის გაუგებარი დროით გადადება, არამედ ის, რომ ვხედავთ გარკვეულ მსგავსებას რუსეთის პრეზიდენტის დამამცირებელ გაუგებარ ქმედებებთან, როდესაც გასული წლის 17 დეკემბერს მან ზარზეიმით გვამცნო, რომ მიღებულია გადაწყვეტილება საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დამყარების შესახებ და ერთ კვირაში უკომენტაროდ უკან წაიღო დანაპირები.

**— სამწუხაროდ, გვინდა თუ არ გვინდა, 2016 წლის არჩევნებზე საგარეო ორიენტაციის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეიძლება აღმოჩნდეს. პროდასავლურ და პრორუსულ პარტიებად შერაცხულ პარტიებს შორის აშკარად დიდი კონკურენციაა. თუ პროდასავლურ ფლანგს გადავხედავთ, მასზე პრეტენზია აქვს როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე „ნაცმოძრაობას“, „რესპუბლიკელებს“, თავისუფალ დემოკრატებს“, „გირჩს“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ახალი საქართველოს“ აქვთ. თქვენი აზრით, დასახელებულ პოლიტიკურ სუბიექტებთაგან ვის აქვს მეტი შანსი, პროდასავლურად განწყობილი ელექტორატის მიმხრობისათვის?**

– პროდასავლურად განწყობილ ელექტორატს ბედმა გაუღიმა – მათ მდიდარი არჩევანი აქვთ საკუთარი სანდო გზამკვლევი პარტიის შესარჩევად. ზემოთჩამოთვლილ „ნაპარლამენტარ" პარტიათა კვარტეტიდან უკეთესი საწყისი პირობები მეგულება „ნაცმოძრაობასა“ და „თავისუფალ დემოკრატებში“. „ქართულ ოცნებას“ მოაკლდება პრომეჭიაურ ამომრჩეველთა არცთუ მცირე ხმები, „რესპუბლიკელები" კი დიდი ალბათობით, კვლავ ჩვეული აკადემიურობით და მაღალი მოთხოვნების დაცვით, თავად შეარჩევენ საკუთარ ამომრჩევლებს და მათ რაოდენობაზე უფრო, შერჩეულთა გონებრივი მონაცემებით იამაყებენ. რაც შეეხება ახალბედა პოლიტიკურ სუბიექტთა ტრიოს, მათი ბიოგრაფიები განსხვავებულია და ინდივიდუალურ შესწავლას მოითხოვს. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ყოფილი ნაციონალი" არ არსებობს და იგი იგივეა აწ და მარადის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „გირჩი" და „ახალი საქართველო“ ერთი მამის არატყუპი შვილები არიან და მათ სხვადასხვა სიხშირით მოუწევთ ანგარიშის გაწევა მონატრებული ოდესელი მამის ბრძნული შეგონებებისთვის. რაც შეეხება მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, მისი „მამა“, პაატა ბურჭულაძე ყველა კონტინენტზეა იდენტიფიცირებული მილიონობით მელომანის მიერ, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია ამ მოძრაობის ხელგაშლილი ბაბუის ვინაობა და ადგილმდებარეობა. ხანგრძლივ კვლევათა შედეგად კი დადგინდა, რომ იგი არ სახლობს არც მოსკოვში, არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში და არც ოდესაში. შესაბამისად, ვვარაუდობ, რომ დასახელებულ პოლიტიკურ სუბიექტებთაგან პროდასავლურად განწყობილი ელექტორატის მიმხრობისთვის მეტი შანსი აქვს, მოძრაობას „სახელმწიფო ხალხისთვის“.

**— პრორუსულად აღქმულ პარტიებსა და მოძრაობებს შორისაც საკმაოდ დიდი კონკურენციაა — ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, ამავე ფლანგზეა „მეჭიაური — ერთიანი საქართველოსთვის“. თქვენი აზრით, დასახელებულ პოლიტიკურ სუბიექტთაგან ვის მეტი შანსები აქვს მიიმხროს პრორუსულად განწყობილი ელექტორატი?**

– „პრორუსულ" პარტიებისა და ამომრჩევლების, როგორც ასეთების, არსებობას არ ვაღიარებ. სინამდვილეში, ჩვენი პარტიებიც და მათი ამომრჩევლებიც კლასიფიცირდება, როგორც „რუსეთდამოკიდებული", „ბიძინდამოკიდებული," „ევროდამოკიდებული", „ნატოდამოკიდებული", „პატრონთმაძიებელნი", „მოხეტიალენი", „თავისუფალნი", „გულგახეთქილნი" და სხვ. „დემოკრატიულ მოძრაობას" და „პატრიოტთა ალიანსის" კოალიციას ძალუძთ არსებული ბარიერის გადალახვა და საპარლამენტო სპექტრის გამდიდრება, „მეჭიაურისტები" კი, დიდი ალბათობით, დაჯილდოვდებიან რამოდენიმე საპარლამენტო სავარძლით უკვე დაკვეთილი 95 სავარძლიდან. (koba bendeliani; `interpresniusi~)

## „ვაი მას, ვინც მურუსიძეობის ტრადიცია დაამკვიდრა, უი მას, ვინც ამას ითმენს!“



**ორიოდ დღის წინ, ლევან მურუსიძე მგანაცხადა: გირგვლიანის მკვლელების სასამართლოზე, მე თუ გავიხდიდი მანტიას და უარს ვიტყოდი პროცესში მონაწილეობაზე, ვინმე სხვა მურუსიძე გამოჩნდებოდა ჩემ მაგიერ და ის მოაწერდა ხელსო.**

**აღნიშნულ განცხადებას სახალხო პარტიელი ჯემალ გუნდიშვილი გამოეხმაურა:**

„ამ არსებამ, რომელსაც დღეს წამყვანი როლი აქვს დაკისრებული მოსამართლეთა შერჩევაში, ამ ფრაზით, უნებლიედ კი არა, სრულიად შეგნებულად, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სასამართლო სისტემა, რომელიც შევარდნაძის დროს ძირმომპალი იყო, ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ბოლომდე გაიხრწნა და აბსოლუტურად ჩამოშორდა მორალს. მორალი კი, სწორედ ის განზომილება და, თუ გნებავთ, კრიტერიუმია, რომლის გარეშეც ადამიანი, როგორც სახე და ხატი ღვთისა, ნამდვილად ვერ იარსებებს... საუბედუროდ, ამორალური მიდგომა ყველა იმ ფასეულობისადმი, რაც ნორმალური ადამიანებისთვის საწყისთა საწყისია, არის იმ გულგრილობის შედეგი, რომელსაც, არა მარტო ხალხის ვითომდა რჩეული პარლამენტარები იჩენენ მსგავს პერსონათა შერჩევის დროს, არამედ საზოგადოებაც. სწორედ საზოგადოებამ უნდა გამოუცხადოს ბოიკოტი ამ ხალხს ღიად და დაუფარავად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნელ-ნელა „ნაციონალებს" დამსგავსებული „ოცნება", თუ მომავალში ნებისმიერი „სათაურით" ხელისუფლებაში მოსული ვაი-ხელისუფალნი, ისევ მურუსიძეებს გადააწყვეტინებენ ჩვენი შვილების ბედს – ისინიც ვერ ეღირსებიან სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრებას.

მურუსიძეა პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ „ოცნებამ" სისტემა თავის სიმახინჯეებთან ერთად გადაიბარა – მურუსიძისნაირთა გარეშე ხომ სისტემა ვერ იმუშავებდა. შედეგი უკვე სახეზეა – სტრასბურგის სასამართლოს დადგენილებით, ვანო მერაბიშვილის უფლებები პროცესუალური ნორმების არამართლზომიერი გამოყენებით დაირღვა. იუსტიციის მინისტრ, თეა წულუკიანის დამსახურებით სასამართლოსა და პროკურატურაში მოკალათებული მურუსიძეების ბრალია ეს გადაწყვეტილებაც. მათი გამოისობით, მერაბიშვილის საქმეში, რითაც პროკურატურა ამაყობს, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება დოკუმენტების ფალსიფიკაცია და ამისთვის შეფარდებული სამი წელია. არავის უფიქრია, ამ დამნაშავეს მკვლელობის შეკვეთისთვის აგებინოს პასუხი: გაიხსენეთ მისი ფრთიანი ფრაზა – ორი გვამი მჭირდება! არც აპირებენ ამისთვის პასუხი მოსთხოვონ, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ვერვინ გამოაცხადებს მას „პოლიტპატიმრად" და ვერც ექვსწლიანი ციხით დააღწევს თავს პასუხისმგებლობას! მალე მორალთან მწყალად მყოფ „მურუსიძეებსაც“ მონათლავენ სისტემის მსხვერპლად და ისევ ქართველ გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან უნდა წავიდეს საკმაოდ სოლიდური თანხები მათთან, ვინც მურუსიძეობის ტრადიცია დაამკვიდრა ამ ქვეყანაში. ისევ საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე, ხმაშეწყობილად გვთავაზობენ ერთმანეთს პოლიტიკურ არენაზე „ქოცები" და „ნაცები", თანაც გვიმტკიცებენ, მორალის ადგილი ამ შერკინებაში არ არისო!“ (ივერიონი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კენჯრა. იყენებენ კუპატში
2. იალქანი
3. მიწის ფართობის ერთეული
4. ყვავილი
5. ძაფის დასართავი წვირი
6. ზამთრის თვე
7. რუსული ხალხური საკრავი
8. კრივის მატჩის მონაკვეთი
9. პოეტი ... კალანდაძე
10. „დიდოსტატის მარჯვენა“ შორენას მოახლე ქალი
11. ავი ძაღლი
12. ბუნებისმეტყველი ჩარლზ ...
12ა. ქალაქი რაჭაში
13. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
14. პოეტი ... ცვეტაევა
15. კონტინენტი
16. იაპონური მდოგვი
17. ფინური აბანო
18. შვედური საესტრადო ანსამბლი
19. ირანში: ... ჰომეინი
20. მსახიობი ... ლიოტა
21. მწერალი ... ჩუკოვსკი
22. მსახიობი მიკი ...
23. გემი, რომლითაც კაპიტან გრანტს ეძებდნენ
24. ძველი ეგვიპტის დედოფალი
25. ყვავილი
26. შხამი. ამზადებენ ინდიელები
27. ამოსახველებელი ნაყენი
28. მონოპოლიის ფორმა
29. საკანცელარიო ნივთი
30. გეოლოგიური პერიოდი
31. ხმამაღალი სიცილი
32. დაწმენდილი შაქარი
33. ნუარე ფილმში „ძველი ...“
34. რუსული ავტომობილი
35. ხორბლით დათესილი ადგილი
36. უკუზო აქლემი პერუში
37. სამშენებლო იარაღი
38. „გაზაფხული შემოსულა ...“
39. სოფელი საგარეჯ. რაიონში
40. რუსული ზღაპრის გმირი ბიჭი
41. სოფელი თბილისში
42. გიორგი დანელიას ფილმი
43. ძროხის ნაშიერი
44. ანბანი, ანუ ...
45. მსახიობი ბენისიო ... ტორო
46. აფროდიტეს სატრფო
47. მსახიობი არმან ...
48. მზის ჩასვლა
49. წვრილმანი ნივთების ყუთი
50. გიტარის მავთული
51. ქალაქი ...-ანჯელესი
52. სომხეთის ძველი დედაქალაქი
53. სანელებელი
54. სრუტე პა-დე-...
55. შიიზმის მიმდევარი
56. კოსმონავტი ... ტერეშკოვა
57. ქალაქი საფრანგეთში
58. მეგობარი (მოძვ.)
59. მწერალი ... იოსელიანი
60. რეჟისორი ... პაოლო პაზოლინი
61. პოლიტიკური მოტივების საფუძველზე ფიზიკური ანგარიშსწორება
62. ლითონი
63. მეფის მრჩეველი
64. შოტლანდიური ნაგაზი
65. ძაღლის ჯიში
66. ველური ვაზი
67. მადაგასკარის დედაქალაქი
68. გიორგი სააკაძის სოფელი
69. მალაიზიის დედაქალაქი
70. მისი დედაქალაქია დუბლინი
71. ბურატინოს მეგობარი ბიჭუნა
72. უნივერსიტეტი ... მატერი
73. ჯუჯა ცხენი
74. ბრძენი ქალი რუსულ ზღაპრებში
75. მიჩურინი პროფესიით
76. მომღერალი ... გილანი
77. გამზირი
78. ... ამდგარსა კურდღელსა
79. სიმკაცრით განთქმული ქალაქი-სახელმწ. ანტიკურ საბერძნეთში
80. ვულკანური მასა
81. მსახ. ... თარხნიშვილი
82. მეფე ძველ ეგვიპტეში
83. ვულკანის ყელი
84. კრების ჩანაწერი
85. დეფო. „... ფლენდერსი“
86. მწერალი ... ტვენი
87. იანის საპირისპირო
88. მსახიობი ... პაჩინო
89. ჭამის სურვილი
90. მხატვარი ალბრეხტ ...
91. თევზის წვნიანი
92. ანტიკური საბერძნეთი
93. ფრანგული ოქროს მონეტა
94. დაბალფასიანი, ანუ ...
95. ქმრის მეუღლე
96. მისი დედაქალაქია რომი
97. რა ტრანსპორტია რიქშა
98. ექსპრეზიდენტი ... კარტერი
99. თავადის ტიტული ინდოეთში
100. მწერალი დუტუ ...
101. ბედი
102. მსახიობი ... დემონჟო
103. პატარა არია
104. ბერძნული ცეკვა
105. ორსახა ღმერთი
106. ... კუზანოვი
107. მსახიობი ... ლი ჯონსი
108. ქალაქი საფრანგეთში
109. მსახიობი ... დელონი
110. ადგილი, სადაც დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები დაამარცხა
111. ტორეადორის შეძახილი
112. მუსიკოსი ... გილელსი
113. დაბადების მოწმობა
114. კაქტუსის წანა-ზარდი
115. კავშირებითი სიტყვა
116. იუპიტერის თანამგზავრი
117. ვაჟიშვილი
118. სპორტის სახეობა
119. ხასიათი





პასუხები: 1. კოწახური; 2. აფრა; 3. აკრი; 4. ია; 5. თითისტარი; 6. თებერვალი; 7. ბალალაიკა; 8. რაუნდი; 9. ანა; 10. ვარდისახარი; 11. ქოფაკი; 12. დარვინი; 12ა. ონი; 13. სტრადივარიუსი; 14. მარინა; 15. ამერიკა; 16. ვასაბი; 17. საუნა; 18. „აბბა“; 19. აიათოლა; 20. რეი; 21. კორნეი; 22. რურკი; 23. „დუნკანი“; 24. ნეფერტიტი; 25. ენძელა; 26. კურარე; 27. ალთე; 28. სინდიკატი; 29. რვეული; 30. იური; 31. ხარხარი; 32. რაფინადი; 33. თოფი; 34. „ნივა“; 35. ყანა; 36. ლამა; 37. ძალაყინი; 38. ლენ; 39. მანავი; 40. ემელია; 41. კიკეთი; 42. „აფონია“; 43. ხბო; 44. ანაბანა; 45. დელ; 46. ადონისი; 47. ასანტე; 48. დაისი; 49. ნესესერი; 50. სიმი; 51. ლოს; 52. ანისი; 53. მარილი; 54. კალე; 55. შიიტი; 56. ვალენტინა; 57. გრენობლი; 58. დოსტი; 59. ოტია; 60. პიერ; 61. ტერორი; 62. ნიკელი; 63. ვეზირი; 64. კოლი; 65. როტვეილერი; 66. უსურვაზი; 67. ანტანანარივუ; 68. ნოსტე; 69. კუალა-ლუმპური; 70. ირლანდია; 71. არლეკინი; 72. ალმა; 73. პონი; 74. ვასილისა; 75. სელექციონერი; 76. იან; 77. პროსპექტი; 78. ადრე; 79. სპარტა; 80. ლავა; 81. ვანიკო; 82. ფარაონი; 83. კრატერი; 84. ოქმი; 85. მოლ; 86. მარკ; 87. ინი; 88. ალ; 89. მადა; 90. დიურერი; 91. უხა; 92. ელადა; 93. ლუიდორი; 94. იაფი; 95. ცოლი; 96. იტალია; 97. ეტლი; 98. ჯიმი; 99. რაჯა; 100. მეგრელი; 101. სვე; 102. მილენ; 103. არიოზო; 104. სირტაკი; 105. იანუსი; 106. ივა; 107. ტომი; 108. კანი; 109. ალენ; 110. დიდგორი; 111. ტორო; 112. ემილ; 113. მეტრიკა; 114. ეკალი; 115. რომ; 116. იო; 117. ძე; 118. კრივი; 119. ზნე. იკითხება: წითელქუდა. მალვინა. არიელი.

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო

## დაფარეთ ნოუთბუქის კამერა!




ელექტრონული მოწყობილობები ყოველწლიურად სულ უფრო სრულყოფილი ხდება. პროგრესს უკანა მხარეც აქვს. ბოლო დროს დადის ხმები, რომ ბოროტმოქმედებს ცუდი საქმეებისთვის სხვისი ვებ-კამერების გამოყენება შეუძლიათ.

თვალთვალის შიშით, სულ უფრო მეტი ადამიანი ფარავს ვებკამერას. აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროს დირექტორის, ჯეიმს კომის თქმით, მას თავის ნოუთბუქზე გაუმჭვირვალე წებოვანა ქაღალდი აქვს დაკრული.

რუსეთის „კასპერსკის ლაბორატორიის“ გამოკვლევების თანახმად, გამოკითხულთა 52 პროცენტს თვალთვალის შიში აქვს, 26 პროცენტს ნოუთბუქებზე ვებკამერები დაწებებული აქვთ, ხოლო 5 პროცენტს ტელეფონის წინა კამერებიც კი დაფარული აქვთ!

ხშირად ბოროტმოქმედები მიღებულ ვიდეოებს შანტაჟისთვის იყენებენ (როგორც წესი, პორნოს ყურებისას გადაღებული). ამიტომ ბევრმა კომპანიამ ვებკამერების დასაფარად სპეციალური დამცავი საშუალებები გამოუშვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჰაკერებს ინფორმაციის მოპოვება სხვა საშუალებებითაც შეუძლიათ...

*mediamall.ge*

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო

## ცისფერი ფერი გადაწყვეტილების მიღებაში გვეხმარება



არიზონის ინსტიტუტის მეცნიერებმა ცისფერი ფერის დადებითი ზეგავლენის დასადგენად ექსპერიმენტი ჩაატარეს.

ექსპერიმენტის ჩატარებიდან ერთი კვირის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ცისფერი ფერი თავის ტვინის მოქმედებას შესამჩნევად ზრდის, გარდა ამისა, მეხსიერებასა და კოგნიტურ ფუნქციებსაც აუმჯობესებს.

მეცნიერები აკვირდებოდნენ, როგორ თანდათანობით ცვლიდა ცისფერი ფერი ტვინის მუშაობას.

გარდა თავის ტვინის ფუნქციონირების შესწავლისა, მეცნიერებმა ტექნიკური ტესტებიც ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ცისფერი ფერის კოგნიტურ ფუნქციაზე, სწორად ფიქრის უნარსა და რადიკალური გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენა.

მოკლედ, ოთახები ცისფრად შეღებეთ, ცისფერი სამოსი ჩაიცვით და საერთოდ ცისფერი სათვალით უყურეთ ცხოვრებას.

*globalscience.ru*

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო

## როგორ გავიგოთ, რა სიმაღლის იქნება ჩვენი შვილი?



ამ მეთოდის შესახებ პირველად 1970-იან წლებში „ნიუ-იორკ თაიმსში“ დაიბეჭდა და ამბობენ, რომ ეფექტური გამოთვლაა. ამ მეთოდით სარგებლობენ ევროპის ბევრ ქვეყანაში, ამერიკასა და რუსეთში.

თუ თქვენ ბიჭის მშობელი ბრძანდებით, მაშინ დედის სიმაღლეს დაუმატეთ მამის სიმაღლე, მათ ჯამს დაუმატეთ კიდევ 13 სანტიმეტრი და მიღებული შედეგი გაყავით 2-ზე.

თუ გოგონას მშობელი ხართ, მაშინ დედის სიმაღლეს დაუმატეთ მამის სიმაღლე, მიღებულ ციფრს გამოაკელით 13 და შედეგი 2-ზე გაყავით.

ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, 100 პროცენტიან შედეგს არ გვპირდება. ბავშვის სიმაღლე გენეტიკური ფაქტორების გარდა, დამოკიდებულია გარემოზე, რომელშიც ის იზრდება – დედის მდგომარეობა ორსულობის დროს, ბავშვის კვება სიცოცხლის პირველ წლებში და შემდეგ, სტრესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეს ყველაფერი სიმაღლეზე გავლენას ახდენს.

კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანის სიმაღლე 60-80 პროცენტით გენებზეა დამოკიდებული. უმცროსი დები და ძმები ზრდასრულ ასაკში უფრო დაბლები არიან, ვიდრე მათი უფროსი და-ძმები.

ასევე, არსებობს სიმაღლის გამოთვლის კიდევ ერთი მეთოდი.

2 წლის ასაკში თქვენი ბიჭის სიმაღლის მაჩვენებელი გაამრავლეთ 2-ზე, გოგონას სიმაღლე გაამრავლეთ 1,6-ზე, სავარაუდოა, რომ ზრდასრულ ასაკში თქვენი შვილები მიღებულ შედეგზე 10 სანტიმეტრით მაღლები იქნებიან.

*mshoblebi.ge*

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო სანქცერესო ამბები...

## რატომ უნდა დაიძინოთ წინდაში ჩადებული ხახვით



ჩინურ მედიცინას თუ დავუჯერებთ, ნერვული სისტემა მერიდიანების სისტემას ავსებს. ამის მიხედვით არსებობს გზები, რომლებიც ორგანიზმის თითოეულ ორგანოსთან მიგვიყვანს.

ფეხის წვერიდან დაწყებული, დაახლოებით 7000 მერიდიანი არსებობს, რომელიც ადამიანის სხეულის თითოეულ ორგანოსთანაა დაკავშირებული. აუცილებელია ეს მერიდიანები არ დაავადდეს. ამის თავიდან ასაცილებლად შეგიძლიათ, ხახვის ნაჭერი წინდაში ჩაიდოთ და ასე დაიძინოთ.

ხახვი დეტოქსიკატორი და ანტიმიკრობული საშუალებაა. აი, რა ხდება, როცა მას ფეხის გულებზე დაიდებთ!

1. თავისუფლდება სინუსები

დაბინძურებული ჰაერი, სიგარეტის მოწევა, ალერგია, – ყველაფერი ჩვენზე გავლენას ახდენს. ამას კი შეიძლება ქრონიკული ცხვირში გაჭედვა მოჰყვეს. პრობლემის მოგვარება ხახვს შეუძლია, რომელსაც წინდებში ჩადებთ და ასე დაიძინებთ.

2. ფილტვების „გამომკეთებელი“

ეს მათთვისაა, ვინც ეწევა ან მოწევას ახლახან დაანება თავი. თქვენს ფილტვებს გაწმენდა უნდა. ხახვი ამაში დაგეხმარებათ.

3. თქვენი ნაწლავი უფრო ჯანმრთელი იქნება

მომნელებელი სისტემა ძნელად მუშაობს იმის გამო, რომ ხშირად ჩვენ არაჯანსაღ საკვებს მივირთმევთ. ჩვენი ნაწლავები ტოქსინებს შეიცავს, რაც იმუნურ სისტემას ამცირებს. მერიდიანები ფეხებიდან ნაწლავებამდე მიგიყვანენ. კიდევ ერთი მიზეზი, რატომ უნდა დაიძინოთ ხახვიანი წინდებით – ნაწლავებს გამოადგება.

4. ტვინი უფრო გამჭრიახი იქნება.

როცა ტოქსინები ორგანიზმიდან გავა, სისხლი უფრო სუფთა გახდება და ტვინს ჟანგბადს უკეთესად მიაწვდის. ეს კი ტვინის მუშაობისთვის საუკეთესოა.

5. დაიკლებთ წონაში

ფარისებრი ჯირკვალი პასუხისმგებელია ჰორმონების რიცხვზე. როცა ის სრულიად დეტოქსირებულია, მუშაობს უკეთესად, რაც ნიშნავს იმას, რომ თქვენი ორგანიზმი კალორიებს უკეთესად დაწვავს.

6. თირკმელები და ღვიძლი იმუშავებს კარგად

თქვენი თირკმელები და ღვიძლი არის ის ორგანოები, რომლებიც ყველა საშინელებას ფილტრავს, რასაც ჩვენ ვიღებთ. როცა ორგანიზმში დეტოქსიკაცია მიმდინარეობს, თქვენს ორგანოებს არ მოუწევთ მთელი ძალით მუშაობა.

*mediamall.ge*

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო სანქცერესო ამბები...

## აშშ-ის ყველაზე ლამაზი დამნაშავე მოდელი გახდა



ზოგს რა ბედი აქვს, გინდ ციხეში ჩასვი, გინდ ჯანდაბაში გაუშვი, ბედს მაინც ეწევა.

აგერ ამერიკელი პატიმარი, რომელიც იარაღის უკანონო შენახვაზე ვინ იცის რამდენწლიან სასჯელს იხდიდა, მოდელი გახდა. თანაც ხელწამოსაკრავი კი არა, არაერთი სამოდელო კომპანიიდან მიიღო მიწვევა.

ეს ჩვენი ზესექსუალური და ზემომხიბვლელი ჯერემი მიკსი კარგი ყოფაქცევის გამო, ციხიდან დროზე ადრე გაათავისუფლეს. ამანაც, სულ მინდოდა მოდელი გამოვსულიყავი და რახან თქვენც მოგწონვართ და არ იშლით, დავდებ კონტრაქტსო.

როცა პირველად სოციალურ ქსელში მისი ფოტო დაიდო, 260 ათასი მოწონება დაიმსახურა, მერე პირველი პროფესიონალური ფოტოსესიაც მოიწყო და ქალების წერილებსაც ბოლო არ უჩანდა.

ჰოდა, ახლა თავისუფალიცაა და დასაქმებულიც, ხომ წარმოგიდგენიათ, ქალების როგორი ჯარი მიაწყდება?!

*lenta.ru*

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო

## მთვრალმა გიდმა ტურისტები ავსტრიის ალპებში დატოვა და წავიდა

ერთი თქვენი კარგიცო, ბრძანა გამომტყვრალმა გიდმა და თავის გზას გაუდგა.

რა მოხდა და უნგრელი ტურისტები, რომლებიც ავსტრიის ალპებში სამოგზაუროდ ბრძანდებოდნენ, მათდა საუბედუროდ, ფრიად უპასუხისმგებლო გიდს გადაეყარნენ.

აქეთ ეცნენ ეს უნგრელები, იქით ეცნენ, მაგრამ რად გინდა, გიდი აორთქლდა. ადგნენ და მთიანი ქედის გზას გაუდგნენ, იქნებ თავად ვუპატრონოთ თავსო, მაგრამ უშედეგოდ, უფრო დაიკარგნენ. მერე ერთ-ერთმა სამაშველო სამსახურში დარეკა, აგერ 60 კაცი ვდგავართ და ვსასოწარკვეთილობთ, ვინმე მოვა და გვიშველის, თუ გადავეშვათ ამ ალპებიდან თავითო.

12-მა მაშველმა ოპერატიულად გაარკვია ტურისტების ზუსტი ადგილსამყოფელი და ინციდენტების გარეშე სამშვიდობოს გამოიყვანა.

ხეობაში დაბრუნებულ ტურისტებს კი, მათი ალკოჰოლიკი გიდი დახვდათ, რომელსაც რა დღეს დააწევდნენ, თავად მიხვდით.

*anekdot-dnya.ru*



– ნიკო, ამდენ ხანს რატომ იჯექი ტუალეტში, ცუდად ხომ არ იყავი?

– არა, ინტერნეტი ჭედავდა.

*****

პატარა თედო, ბაღიდან დაბრუნდა და მამას ეკითხება.

– მამიკო, შეიძლება ექვსი წლის გოგო, რომ დაფეხმძიმდეს?

– არა, მამა გენაცვალოს.

– ვა, რა გამოდის, ესე იგი თინიკო მაშანტაჟებს?

*****



– ლამარა, გიყურებ, გიყურებ და თანდათან ვხვდები, რომ ტყუილად შევუკვეთე ოფიციანტს სამი ბოთლი არაყი.

– რატომ, ბევრია, ხომ?

– ბევრი კი არა ცოტაა, ხუთი უნდა შემეკვეთა.

*****

– ალოო, მაყვალ, შენ სად მოგწონს – ზღვაზე, მთაში თუ ტყეში?

– რა თქმა უნდა, ზღვაზე, ძვირფასო, შენ რა დასვენების საგზური მიყიდე?

– არა, ჰაერის გამწმენდს ვყიდულობ და ვერ გადამიწყვეტია, რომელი ვიყიდო.

*****

ჩვენთან ყველაფერი ფასიანია: დაბადება, განათლება, ქორწინება, მკურნალობა, სიკვდილიც კი ფასიანია, მარტო შრომაა უფასო.

*****



ორი დაქალი ბარში ზის და კონიაკს მიირთმევს.

– ნინი, ერთი შეხედე იმ ორ ბებრუხანას, ჩვენ უკან მაგიდასთან რომ სხედან. დავიჯერო ათი წლის შემდეგ მაგათ დავემსგავსებით?

– ნუნუკა, კონიაკი მეტი აღარ დალიო, სულ გამოშტერდი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ უკან დიდი კედლის სარკეა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## როგორ უნდა დაიმშვიდოთ ნერვები?



სტრესს ადამიანის ორგანიზმისთვის და ზოგადად, ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია და აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ამ უსიამოვნო მოვლენასთან ბრძოლის გზები გამონახოთ.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ყურადღება შევაჩეროთ თხილსა და კაკალზე, რათა შევძლოთ არა მხოლოდ შიმშილის გრძნობის მოკვლა, არამედ ნერვების დამშვიდებაც.

ამერიკელი დიეტოლოგების განმარტებით, თხილსა და კაკალში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით მაგნეზია, ნივთიერება, რომელიც დამამშვიდებლად მოქმედებს ტვინზე და ნერვულ სისტემაზე.

აქედან გამომდინარე, დღეში 100 გრამი თხილი და კაკალი საკმაოდ დადებით გავლენას მოახდენს თქვენზე.

სპეციალისტები დასძენენ იმასაც, რომ მაგნეზიას დიდი რაოდენობით შეიცავს იოგურტი და ლობიოც.

*myjane.ru*

## სილამაზისკენ სწრაფვა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა



ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარი გარეგნობით მუდმივი უკმაყოფილება და დაუსრულებელი წუწუნი ღვთისგმობაა და სხვა არაფერი, თუმცა ესეც რომ არ იყოს, ადამიანი ისეც არანაკლები საშიშროების წინაშე დგას – ფსიქოლოგების განმარტებით, ადამიანს, რომელიც ყოველთვის ღელავს თავისი გარეგნობის გამო, შესაძლოა, უამრავი ნერვული დაავადება დაემართოს და ზოგიერთ შემთხვევაში მანია და ფობიაც კი შეეყაროს, რის შემდეგაც უფრო უარესი უაზრო აზრები შეაწუხებს.

როგორც ირკვევა, აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად მეცნიერები 18-დან 33 წლამდე 200 ადამიანს დაახლოებით 3 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ და დაადგინეს, რომ, მაგალითად, სუსტი სქესის წარმომადგენელში, რომელიც უკმაყოფილოა საკუთარი გარეგნობით, დანარჩენებისგან განსხვავებით, დაავადების გაჩენის რისკი მთელი 70 პროცენტით მეტია.

– გარდა იმისა, რომ შესაძლოა, ადამიანი დაზარალდეს ემოციურად, სულაც არ არის გამორიცხული, ზიანი მის ფიზიკურ აშლილობებშიც გამოიხატოს, – ამტკიცებენ ფსიქოლოგები.

ისე, მაინცდამაინც საკუთარი გარეგნობის გამო რომ არ ჩავარდეთ დეპრესიაში, ისე რა, სანერვიულო გვაკლია?!

*myjane.ru*

## გრძელი არათითი ართრიტის მაუწყებელი ყოფილა



როგორც წესი, საჩვენებელი და არათითი ერთი ზომისანი არიან, თუმცა არის შემთხვევები, როცა ეს უკანასკნელი უფრო გრძელია. რამდენად აისახება ასეთი მოვლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე?

როგორც სპეციალისტებმა დაადგინეს, დიახ, არათითის სიგრძე პირდაპირ კავშირში ყოფილა ჩვენს ჯანმრთელობასთან, თუმცა უფრო ხშირად ეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებზე აისახება.

მეცნიერების ინფორმაციით, ქალბატონებში, რომლების არათითის სიგრძეც საჩვენებელზე დიდია, ართრიტით დაავადების რისკი 2-ჯერ მაღალია.

ასეთი არასასიამოვნო დასკვნა მას შემდეგ გაკეთდა, რაც ექიმებმა ართრიტით დაავადებული 2000 და სრულიად ჯანმრთელი 1000 ქალბატონი შეამოწმეს.

რატომ მოქმედებს არათითის სიგრძე ართრიტის წარმოქმნაზე და როგორია ამ პროცესის მექანიზმი, მეცნიერები ვერ ხსნიან, თუმცა ამტკიცებენ, რომ კანონზომიერება აშკარაა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**16 ივნისი:** თქვენი მხრიდან მცირე ყურადღებასაც კი სათანადოდ დააფასებენ. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, გაარკვიეთ, ვინ გაფასებთ.

**კურო 22.04-21.05**
**16 ივნისი:** შეიძლება ყველაფერზე წახვიდეთ, ოღონდ თქვენი საქმეები არ გააკეთოთ. იქნებ სხვებს მაინც დაეხმაროთ პრობლემების მოგვარებაში.

**ტყუპები 22.05-21.06**
**16 ივნისი:** თუ გსურთ, ეს დღე კამპანიაში გაატაროთ, გაარკვიეთ მათი ვინაობა. დიდი ალბათობით, მოსალოდნელია უსიამოვნო დაპირისპირებები.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**16 ივნისი:** მიეცით გასაქანი გრძნობებს, რომლებიც დღეს დაგეუფლებათ. კარგი იქნება, თუ ეს გრძნობა მრისხანება არ იქნება, მაგრამ, ვინ იცის...

**ლომი 23.07-22.08**
**16 ივნისი:** როგორც ჩანს, სერიოზული დაბრკოლებების დაძლევა მოგიწევთ და მათ დასაძლევად, ბევრი დრო და დიდი ენერგია დაგჭირდებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**16 ივნისი:** მხოლოდ იმით ნუ შემოიფარგლებით, რასაც ცხვირწინ ხედავთ, ხანდახან, მიმოიხედეთ კიდეც. შესაძლოა, მნიშვნელოვანი რამ დაინახოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**16 ივნისი:** აუცილებელი არ არის, გარშემომყოფებმა იცოდნენ, რამდენად თავდაჯერებული ხართ. დამაჯერებელი გამომეტყველება მიიღეთ, რომ მერყეობა ვერ შეგამჩნიონ.

**მორიელი 23.10-21.11**
**16 ივნისი:** გარშემომყოფებს ან ის უთხარით, რის მოსმენაც უნდათ, ან საერთოდ არაფერი თქვათ. გულღიაობისთვის შესაფერისი დღე არ არის.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**16 ივნისი:** შესაძლოა, მცირე, მაგრამ უსიამოვნო დაბრკოლებებს წააწყდეთ. შეეცადეთ, თქვენი გაღიზიანება ვინმე ახლობელზე არ გადმოანთხიოთ. უმჯობესია, მისი მხარდაჭერა მოიპოვოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**16 ივნისი:** მთელი თქვენი ემოციები შეკრიბეთ და მიმდინარე საქმეებზე მიმართეთ. ისინი მაინც სხვა არაფერში არ გამოგადგებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**16 ივნისი:** შესაძლოა, რაღაცაზე უარის თქმა და საიდანღაც წასვლა მოგიწიოთ. განშორება იოლი არ იქნება. ძალა მოიკრიბეთ, რომ ეს ვარავინ შეამჩნიოს.

**თევზები 19.02-20.03**
**16 ივნისი:** დღევანდელ სიტუაციებში თქვენთვის ჩვეული მოქმედებების სქემა არ გამოგადგებათ. შეეცადეთ რამე ახალი, მაგრამ იოლი გზა მოიფიქროთ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

### დავით ახობაძეს!



ვულოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

*„ალია“*

### ირინა ოდიაშვილს!



გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას. უფლის შეწევნა არ მოგაკლებოდეს!

*„ალია“*

## ინდოელმა რეკორდის დამყარების მიზნით კბილები დაიძრო

ადამიანს გინესომანია სჭირს, სურს, ყველა რეკორდის ავტორი თავად იყოს და გინესის რეკორდების წიგნს ხარ პარკაშ რიშის რეკორდების წიგნი ერქვას და მოკალი თუ გინდა.

უკანასკნელი, რაც გააკეთა, ისაა, რომ 500 ცალი კოქტეილის საწრუპი ჩხირი პირში ერთად ჩაიტენა. ამისთვის კი ყველა კბილის ამოღება მოუხდა, დიდ ბარიერს მიქმნის და მე რომ მინდა, იმ რაოდენობის ჩხირებს ვერ ვიდებო.

გარდა ამისა, 74 წლის ინდოელს სვირინგების რეკორდი აქვს დამყარებული. სხეულზე 366 ქვეყნის დროშა აქვს დახატული და უახლოეს მომავალში აპირებს, მსოფლიოს გამოჩენილი ლიდერების სახეებიც ზედ დაიმატოს.

თურმე, რიში წარსულში ოცჯერ შესულა რეკორდების წიგნში. პირველად რეკორდების სენით 1990 წელს დაავადდა, როცა სკუტერით 1001 საათის განმავლობაში შეუსვენებლად იმოგზაურა.

თავმდაბლობას რაღა აზრი აქვსო და რეკორდების გიჟი თავს გინეს რიშის უწოდებს.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*




ერთ-ერთი პარტიის შტაბში წინასაარჩევნო შეკრება მიმდინარეობს.

– ჩვენი პარტია ელექტორატს კარგავს, ხმები არ გვყოფნის. ტარიელ ავთანდილოვიჩ, როგორ მოვიქცეთ?

– ეს ცალტვინა ჩვენი ამომრჩევლები როგორმე უნდა ვაიძულოთ და არჩევნებზე მივიყვანოთ.

– ავთანდილოვიჩ, ეგენი ისედაც მოდიან არჩევნებზე.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.44